# ႵႠႰႨ

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

№20. ოთხშაბათი. 11-17 ივლისი. 2001 წელი

ფასი 40 თეთრი


## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება

საქართველოს დე ფაქტო არაკანონიერი ხელისუფლება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ე.წ. რეაბილიტაციაზე საზოგადოების ყურადღებით ცდილობს დაფაროს ის ვერაგული განზრახვა, რომელიც მისი 2001 წლის 19 ივნისის №954-II ს დადგენილების უკან დგას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს მოქალაქეებს შეახსენებს საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 13 მარტის დადგენილებას, სადაც ხუნტის ქმედება არის კვალიფიცირებული:

„1. 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებული იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია.

2. არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების (სამხედრო საბჭო და სხვა) შექმნა კვალიფიცირებული იქნეს როგორც ხელისუფლების უზურპაცია.

3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ.

4. სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სამშობლოს ღალატი.

5. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას მოვუწოდებთ არაკანონიერი ხელისუფლების დაუმორჩილებლობისაკენ“.

დღევანდელი არაკანონიერი ხელისუფლება 1991-93 წლების სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების პირდაპირი მემკვიდრეა. გაუგონარი ცინიზმია, როდესაც ჯალათები თავისი მსხვერპლის რეაბილიტაციას იწყებენ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოითხოვს, შეწყდეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ ცილისწამება და მისი ბრალეულად გამოყვანის მიზანმიმართული პროვოკაციები ქვეყნის სათავეში იარაღითა და უცხო ქვეყნის სამხედრო ძალის დახმარებით მოსული ხუნტის — საქართველოს დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლების — მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე
დავით გოგაძე

თბილისი, 2001 წლის 9 ივლისი

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს:

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილ იქნა ექვმიტანილის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის თანახმად, დაუშვებელია ექვმიტანილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მისი გარდაცვალების გამო, როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისათვის.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ეთხოვოს საქართველოს გენერალურ პროკურორს, შეისწავლოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის კანონიერება მისი რეაბილიტაციის მიზნით.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი წერეთელი

თბილისი, 2001 წლის 19 ივნისი №954-II ს



12 ივლისი პეტრესა და პავლეს ხსენების დღეა.

მოციქულთა თავნო და ყოვლისა სოფლისა მოძღვარნო, მაცხოვარსა ყოველთასა ევედრენით, რათა მოსცეს სოფელსა მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა!

**ტარიელ ფუტკარაძე:**

## პოლიტიკური რეალობა და პოლიტიკური რომანტიზმი ომარ გვეტაძისებურად

ანუ ერთი წლის მანძილზეც კი საქართველოს შენება რატომ არ აცალეს ზვიად გამსახურდიას და ათეთ წელია რატომ ანებებენ შევარდნაძეს საქართველოს გაუბედურებას?

თევზივით პირწყლობა არ არის რეალური პოლიტიკა, საერთოდ არაა პოლიტიკა! დამპყრობელსა და მოძალადეზე შეგუება სილაჩრეა, მარგოობაა...

რეალისტი პოლიტიკოსია ადამიანი, ვისი გეგმებიც ქვეყნის კეთილდღეობაზეა გათვლილი; ვისაც გამარჯვების მოპოვება არ სურს იმპერიის დახმარებით, ვინც თავის წარმატებას გეგმავს ქვეყნის კეთილდღეობის ფონზე...

გვ. 2

**ირაკლი შონია:**

## მე მაინც გამარჯვებული ვარ!

როცა შინ დავბრუნდი და სახლის კარი შევაღე, ყველაფერი თავდაყირა და დარბეული დამხვდა განსაკუთრებით ჩემი ოთახი...

დაუპატიჟებელ სტუმრებს თან წაეღოთ 26 მაისთან დაკავშირებული ფოტომასალა, კასეტა, რომელზეც ჩაწერილი იყო მიტინგის დარბევა, ასევე, დიქტოფონი, რითაც ინტერვიუებს ვიწერდი...

გვ. 3

**აკაკი მეთიუშვილი:**

## საუკუნის მკვლელობა წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში

შუაღამე გადასულია. ორფეხა მგლები გამოძვრნენ თავიანთი სამალავიდან და ფეხაკრებით მიუახლოვდნენ ჯერ კათალიკოს-პატრიარქის ბინას, მის საძინებელ ოთახს... ფრთხილად უხმაუროდ აღებენ საძინებლის კარს. იარაღმომარჯვებული ერთ-ერთი მკვლელი შედის ოთახში, დანარჩენები გარეთ დგებიან. გასროლის ხმის ჩასახშობად ისევ ხურავენ კარს და მძინარე მოძღვარს მკვლელი სულთამხუთავივით ადგება თავს... წამიც და თავისი დროის უდიდესი ქართველი სისხლში ცურავს...

გვ. 4

**გიორგი ბენიძე:**

## დღევანდელო, როდემდე ვიყოთ ასე?

ვიქცით ზედმეტ ბარგად, გვეუბნებიან ათასგვარ საყვედურებს. რატომ გამორბოდითო. თურმე რაც დღეს ხდება, ჩვენი ბრალი ყოფილა. ასეთი „პატრიოტები“ ახლა იმასაც კი ცდილობენ, მეგრელები და დანარჩენი ქართველები დააშორიშორონ, დაუპირისპირონ ერთმანეთს, მხედრიონელთა ლოზუნგების მიხედვით და მათ კვალად, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

გვ. 5

**გრიგოლ რობაქიძე:**

## ეშმია და სოციალიზმი

გვ. 7

*რედაქტორის სამრეკლო*

# პოლიტიკური რეალობა და პოლიტიკური რომანტიზმი ომარ გვეტაძისებურად

## ანუ ერთი წლის მანძილზეც კი საქართველოს შენება რატომ არ აცალეს ზვიად გამსახურდიას და მეათე წელია რატომ ანებებენ შევარდნაძეს საქართველოს გამაგრენისტყავებას?

ერთი კარგი პოეტი ომარ გვეტაძე ერთი კარგი სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი ფაკულტეტის ჩვეულებრივი დეკანია. საზოგადოების ფენა, რომელსაც ბ-ნი დეკანი წარმოადგენს, გარკვეულწილად განსაზღვრავს სტუდენტებისა და ფართო საზოგადოების საარჩევნო განწყობას, ამდენად, ვფიქრობ, გამართლებული იქნება ამ ერთი კონკრეტული პიროვნების მსჯელობის განზოგადება.

ჩემი მეგობარი ომარი მეუბნება:

***რეალური პოლიტიკაა საჭირო, დღევანდელი სიტუაცია რეალურად უნდა შეაფასდეს; თქვენ წარსულის აღდგენა გინდათ და ამიტომ რომანტიკოსები ხართ...***

ომარის შეცდომები ტერმინოლოგიიდანვე იწყება:

არც ერთ ლექსიკონში არ წერია, რომ რომანტიკოსს წარსულის აღდგენა სურს, როგორც წესი, რომანტიკოსად იხსენიებენ მეოცნებე კაცს, ხოლო რომანტიზმი არის მიმდინარეობა, რომელიც წინ წამოსწევს პიროვნულ ინტერესებსა და გრძნობებს; რომანტიზმი არის, აგრეთვე, მხატვრული მეთოდი, „რომელიც გამსჭვალულია ოპტიმიზმით და მიისწრაფვის ნათელი სახეებით გვიჩვენოს ადამიანის დანიშნულება“...

რეალისტი არის ადამიანი, რომელიც თავის მოქმედებაში ანგარიშს უწევს რეალურ ვითარებას, ითვალისწინებს არსებულ შესაძლებლობებსა და ძალთა თანაფარდობას...

ვინ არის რეალისტი პოლიტიკოსი?

ომარის აზრით: ვინც გამარჯვებულია, ვინც დღეს პარლამენტშია და ვისაც რეალური ძალაუფლება აქვს; საერთოდ, ვინც ყველაფერს კადრულობს, რომ აწმყოში მართოს მოვლენები... ერთი სიტყვით, „ძლიერნი ამა ქვეყნისა“.

***ჩემი აზრით, რეალისტი პოლიტიკოსია ადამიანი, ვისი გეგმებიც ქვეყნის კეთილდღეობაზეა გათვლილი; ვისაც გამარჯვების მოპოვება არ სურს იმპერიის დახმარებით, ვინც თავის წარმატებას გეგმავს ქვეყნის კეთილდღეობის ფონზე, ზოგადად, ვინც საკუთარ ინტერესებზე მაღლა აყენებს საზოგადო ინტერესებს...***

**ჩვენ რეალურად ვუყურებთ არსებულ სიტუაციას და ვამბობთ: სახელმწიფო ვერ აშენდება, თუ არ დაიგმობა უკანონობა, პუტჩი, ძალადობა, არასამართალმემკვიდრე და არასაყოველთაო არჩევნები... სახელმწიფო ვერ აშენდება, თუ საზოგადოება არ გამთლიანდება!**

ყველა ხედავს:

საქართველო აგერ უკვე მეათე წელია ინგრევა და იყიდება, ნადგურდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებანი... მიზეზი ამისა არის ის, რომ საქართველოში მეათე წელია ითელება კანონიერება, გმირები ილანძღებიან და პუტჩისტები გორგასლის ორდენით საჩუქრდებიან! ხელისუფლებასთან შეკრული ვაჭრები მილიონებს იჯიბავენ და მეწარმეები იზღუდებიან; პატიოსანი ადამიანი მიუსაფარია და ქურდი—დაცული, ქვეყნის მესამედი ტერიტორია მომიჯნავე იმპერიებსა და ბანდებსაა მიჩუქებული... მოაზროვნე და მუშა ქართველობის უდიდესი ნაწილი გახიზნულია სამშობლოდან...

ამ სიტუაციიდან გამოვალთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანას რეალურ მმართველად ეყოლება ლეგიტიმური და სახელმწიფოს ინტერესების დამცველი ხელისუფლება...

აბა, ჩემი მეგობარი პოეტია რეალისტი? კაცი, რომელიც აქებდა ზვიადს, შეეგუა ჯაბას და კიტოვანს, ეიმედებოდა შევარდნაძე და ახლა საქართველოსთვის აქტიური ბრძოლის ნაცვლად მზად არის არსებულ რეჟიმში წარმოდგენილ ორ ბოროტებას შორის ერთ-ერთი, მისი აზრით, ნაკლები ბოროტება აირჩიოს... არადა, ომარი კარგ ლექსებს წერს, ლექსებში ოპტიმიზმი ჭარბობს...

პატივცემულო მკითხველო, უკეთეს შემთხვევაში, ჩემი მეგობარი ომარი და ბევრი სხვა ომარი უფრო ჰგავს სიტუაციას შეგუებულ რომანტიკოსს, ჩვენ კი ვიბრძვით: რეალურ და რთულად განსახორციელებელ გზას ვადგავართ; ეს გზა მძიმეა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მართლა რეალურია და მის ხორცშესასხმელად თავი უნდა შევიწუხოთ.

ომარის ერთ-ერთი ბოლო ლექსი ასეთია:

**ჟამი მიდის**

**ჟამი მიდის, ისევ რჩება**
**რუსი რუსად, ფრანგი**
**ფრანგად,**
**ქართული დრო**
**უზრუნველად**
**რა სილაღით**
**გაგვიფლანგავს.**
**შრომობს**
**ხელდაკორძებული,**
**რომ იცხოვროს ჩეხმა**
**ჩეხად,**
**სივრცე უფლის**
**ბოძებული**
**რა ულმობლად**
**დაგვიჩეხავს.**
**რა გამოლევს**
**ფიქრებს ულევს—**
**სადღაც უხმობს მოგვი**
**ბელადს,**
**მუხის ნერგი სამამულე**
**რა ულმობლად**
**მოგვიბელავს,**
**თუმც არა მსურს,**
**კითხვა**
**„რატომ“**
**საუკუნოდ დავიბედო;**
**მაგრამ დღესაც ოხრავს**
**ტატო:**
**„ვაი, ჩვენო ქართლის**
**ბედო!“**

მკითხველო! ჩვენი აწმყო კარგად ასახა ომარმა, არა? ავტორს ვეკითხები: ეს ჩვენი ბედოვლათობა კარგად ასახეთ, მაგრამ მის გამოსასწორებლად რა გააკეთეთ?

როცა ილია „ბედნიერ ერს“ წერდა, თან ხმალამოღებული იბრძოდა, იბრძოდა აკაკიც... ზვიადიც! დღევანდელ პოეტთა დიდი ნაწილი კარგ ლექსს დაწერს და შემდეგ ბერი გაპონივით ხალხს ან უკანონო და ცრუ არჩევნებისკენ ეზიდება(!), ან ქურდს და ყაჩაღს უდგას გვერდით, ან უბრალოდ, ყოფით ცხოვრებაში ეგუება სიცრუეს და თავს იმართლებს *რეალურობით...*



ჩემი აზრით, არსებულ სიტუაციაზე შეგუება რეალობა კი არა, სიმხდალეა (თუ საქართველოს დანგრევაში თანამონაწილეობა არა!)... ამ შეგუებით გვჭირს „ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“, ტატოც შეეგუა დამპყრობელ რუსებს და გადაიკეთა გვარი ბარათოვად! „ვაი“ რომ გვჭირს, გლეხმაც კი იცის; რატომ გვჭირს და როგორ გავეყაროთ ვაი-ს უი-ს შეუყრელად, ეს უნდა თქვას პოეტმაც, მეცნიერმაც და პოლიტიკოსმაც... ასეთ პოეტს ნიშნავს ცა და არა — საქართველოს მძარცველი კლან-პარტიების მეხოტბე-მოლექსეებს, რომლებიც მრავლად არიან დღევანდელ პარლამენტში და მის მისადგომებთანაც...

თევზივით პირწყლობა არ არის რეალური პოლიტიკა, საერთოდ არაა პოლიტიკა! დამპყრობელსა და მოძალადეზე შეგუება სილაჩრეა, მარგოობაა.

***ერთი არარეალური პოლიტიკური გზა დღეს მართლა მოდაშია: უკანონო და უსამართალმემკვიდრეო არჩევნებში გამარჯვების მოპოვების მცდელობა;*** ამ გზით მავალთ შევახსენებთ, რომ უკანონო და უწესო არჩევნებში პატიოსანი ადამიანები და პარტიები ვერ გაიმარჯვებენ; მათ თავის გასამართლებლად არ გამოადგებათ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, ვინაიდან მაშინ ფიზიკურად აღარ არსებობდა ნოე ჟორდანიას საკანონმდებლო ორგანო, საქართველოშიც უკვე ცოცხალი აღარ იყო ორჯონიკიძის პუტჩით ღირსებაშელახული ხალხი და ამიტომ, ზვიად გამსახურდიამ მაშინდელ საკანონმდებლო ორგანოს მიაღებინა საარჩევნო კანონი... დღეს დევნილობაში მოქმედებს უზენაესი საბჭო და ვინც ამის მნიშვნელობას ვერ ხედავს, ის რეალურობას ისეა მოკლებული, როგორც სილაში თავწარგული სირაქლემა.

ფაქტია, რომ ომარისებრი ხედვა დღეს ბევრსა აქვს საქართველოში; სწორედ, ამიტომ ვართ XXI საუკუნის დასაწყისშიც მოსეს უდაბნოში... როცა ჩემი მეგობარი ომარი და სხვა ჩვენი თანამედროვენი მიხვდებიან, რომ უზნეო, უკანონო და უსამშობლოო კაცი ვერასოდეს ვერ იქნება რეალური პოლიტიკოსი, ჩვენი ქვეყანაც მას შემდეგ დაიწყებს აღორძინებას...

და ბოლოს:

კომუნისტობის დროს დიდი ფული და საწარმოო საშუალებები ჰქონდა ე.წ. მმართველ ელიტას (აქვე შემოდიოდა თანამდებობისა და პრივილეგიების მქონე ინტელიგენციაც).

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ დაიწყო ქვეყნის დემოკრატიზაცია; გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი და, ამის შემდეგ, თუკი დაიწყებდა წარმოების საშუალებების პრივატიზაციასაც, ეს კომუნელიტა საბოლოოდ დაკარგავდა მდგომარეობას; ამიტომ კომუნელიტა კრიმინალებთან ერთად შეეკრა იმპერიულ რუსეთს და ერთობლივად მოაწყვეს პუტჩი...

უბრალო ხალხი ბოლომდე არ გაჰყვა გამსახურდიას ნაჩვენებ გზას და ჩიხში აღმოჩნდა... გვიან ერკვევა კომუნელიტის ნაცად დემაგოგიაში; ზოგი ახლაც ეძებს არარსებულ სხვა რეალურ გზას, არადა, არავის გაუუქმებია ქუჯისა და ფარნავაზის, აღმაშენებლისა და ჭყონდიდელის, ილიასა და აკაკის, ზვიადისა და მერაბის ნაცადი და გამართლებული გზა; უკანონო ხელისუფალნი დემაგოგიური ფარდის გადაფარებას ცდილობენ ამ გზისთვის, რომ უბრალო საარჩევნო ხმებმა სწორი მიმართულება ვერ შეამჩნიონ... (ამ „ფარდის“ გასწორებაში ნებსით თუ უნებურად ეხმარებიან მოძალადე კლანებს ჩვენი ომარის მსგავსი მოღვაწენი)...

პუტჩის შემდეგ შევარდნაძემ კომუნელიტის ძირითად ნაწილს შეუნარჩუნა გავლენა, ფული, სკამები... სამაგიეროდ, გაიწირა უბრალო ხალხის, წესიერი ინტელიგენციისა და, ზოგადად, ქვეყნის ინტერესები... ზვიად გამსახურდია საქართველოს სიყვარულისთვის მოკლეს...

ნუთუ ამ ყველაფერზე შეგუებაა რეალიზმი?

ჩემი მეგობარი ომარი, თავისთავად ცხადია, არ არის რეალისტი; მინდა, ჩემს თვალში რომანტიკოსად მაინც დარჩეს; არადა, თუ ახლა მაინც სასაქართველოოდ არ გააქტიურდა, დიდი ალბათობაა, ეს კარგი პოეტიც უკანონობის შეგნებულ მხარდამჭერად და ცხოვრების მღვრიე წყალს მიმყოლ ნაფოტად დადგინდეს...

იკითხავს ვინმე, პირველ რიგში, მე თვითონ: თუ კარგი პოეტია ომარი, რას ვერჩით მეგობარს, ყველა პოლიტიკოსი ხომ ვერ იქნება?..

ამჯერად, რეალურ პოლიტიკოსობაზე საუბარი სწორედ ამ პოეტმა დაიწყო და, რაც მთავარია, ვინც არჩევნებში ხმას აძლევს, საერთოდ, ვინც ცხოვრობს, ქვეყნის ბედზე ყველამ უნდა იზრუნოს. აწმყოში — საარჩევნო პერიოდში — პოლიტიკოსებზე ვერდიქტს სწორედ საშუალო ფენა იძლევა, ამდენად, პირველ რიგში, სწორედ ამ ფენის წარმომადგენელმა ომარმა უნდა გააცნობიეროს, რომ პოლიტიკოსის ცნების განსაზღვრისას ზნეობისა და კანონის გამორიცხვა ქვეყნის დანგრევას აპირობებს: საქვეყნო მოღვაწეობა მხოლოდ სიმართლითა და კანონითაა შესაძლებელი. პუტჩისშემდგომ პარლამენტში ყოფნა რეალურპოლიტიკოსობა კი არა, კარიერისტობაა ცუდი გაგებით; ჯაბა-კიტოვანი-სიგუას „დალოცვილ“ პარლამენტში მყოფი კაცი მოკლებულია სახელმწიფო აზროვნებას; მათი ნალვაწის შედეგს დღეს ყველა წესიერი კაცი ხედავს!.. ქვეყანა თავზე გვაქვს დაქცეული!

**თევზივით პირწყლობა არ არის რეალური პოლიტიკა, საერთოდ არაა პოლიტიკა! დამპყრობელსა და მოძალადეზე შეგუება სილაჩრეა, მარგოობაა...**
**რეალისტი პოლიტიკოსია ადამიანი, ვისი გეგმებიც ქვეყნის კეთილდღეობაზეა გათვლილი; ვისაც გამარჯვების მოპოვება არ სურს იმპერიის დახმარებით, ვინც თავის წარმატებას გეგმავს ქვეყნის კეთილდღეობის ფონზე...**

•••

პოეტო ძმაო!
აღარ არის ნაფოტობის დრო:
**„ჟამი მიდის“, ნულა ეძებ**
**ბელადსა და მხსნელს,**
**შენ თვითონვე შეუტიე**
**ორგულსა და მტერს!**
**თუ ქვეყანა აღარ**
**შეგრჩა, მომლი დინეს,**
**მდ.კარს,**
**ლექსები და ნარკვევები**
**გააყოლე მტკვარს!**

**ტარიელ ფუტკარაძე**
ქუთაისი, 7 ივლისი,
2001 წელი.

## ჩვენს ჟურნალისტს ავიწროებენ

# ირაკლი შონია: მე თქვენზე მაინც გამარჯვებული ვარ!

მას შემდეგ, რაც დამხობილი იქნა კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება და ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ჩვენი ქვეყანა დღეს დიდი ციხეა, სადაც დემოკრატიის მირაჟული წარმოსახვაა მხოლოდ.

როდესაც საქართველოში ჩამობრძანდა ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ხუნტა უფრო გამძაფრებული სახით დაუპირისპირდა ეროვნულ მოძრაობას და მის რიგებში მყოფ ადამიანებს. გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ. მითუმეტეს, მას შემდეგ, როდესაც მოწმე გავხდი, თუ როგორ მოკლეს მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს ნუგზარ ლეჟავა. მაშინ ერთი კვირა მატარეს ქალაქის პოლიციის სამმართველოში, მაგრამ, ამ ბოლო ხანს, ჩემს მიმართ მუქარამ და დევნამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ 26 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიციის მანქანებმა მომაქციეს ალყაში პეტრიაშვილის ქუჩაზე და შეეცადნენ ჩემს დაპატიმრებას, მაგრამ ამ დროს გამოჩნდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი ნელი მაძღარაშვილი და სრულიად „საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების" წევრი ელენე გოდალაძე და გამომექომაგნენ. მას შემდეგ, რაც გაზეთ „ქუჯის" რედაქციასთან დავიწყე თანამშრომლობა და ინტერვიუების გამოქვეყნება, სატელეფონო ზარებით მაფრთხილებდნენ, რომ თუ არ შევწყვეტდი წერას, ცუდი რამ დამემართებოდა, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია.



როგორც ყველასთვის ცნობილია, ამა წლის 26 მაისს, ბარბაროსულად იქნა დარბეული მშვიდობიანი, გრანდიოზული აქცია რესპუბლიკის მოედანზე. ამასთან დაკავშირებით გაზეთისათვის მოვამზადე სპეციალური მასალა, ასევე გამოვაქვეყნე ჩემივე გადაღებული ფოტოები, რამაც ძალიან გააღიზიანა პოლიციის თანამშრომლები. ქუჩაში გახშირდა ჩემი თვალთვალი სუკის მხრიდან. რამდენჯერმე ვკითხე კიდეც მათ, რატომ მომყვებოდნენ, რაზედაც ვღებულობდი გაურკვეველ პასუხებს.

2001 წლის 2 ივლისს, სახლიდან გასული ვიყავი, მაგრამ მალე დავბრუნდი, როდესაც სახლის კარი შევაღე, ყველაფერი თავდაყირა და დარბეული დამხვდა—განსაკუთრებით ჩემი ოთახი, სადაც წიგნების და გაზეთების მეტი არაფერია. სწორედ ეს აინტერესებდათ დაუპატიჟებელ სტუმრებს. ეს რომ გაქურდვის მიზნით ყოფილიყო მხოლოდ, სახლიდან სულ სხვა რამეს წაიღებდნენ. წაღებული აღმოჩნდა 26 მაისთან დაკავშირებული ფოტო მასალები, ასევე კასეტა, სადაც ჩაწერილი იყო მიტინგის დარბევის ფაქტები. წაღებულია ასევე ჩამწერი დიქტოფონი, რითაც ინტერვიუებს ვიწერდი (ამით თითქოს ჩამომაშორეს იმას, რითაც გაზეთში ვიყავი დაკავებული), ვიდეო მაგნიტოფონი, რომელიც ჩემს პროფესიულ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, სხვა ნივთები კი ხელუხლებელი დარჩა. გადაჭრილი დამხვდა ტელეფონის ხაზები. კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია. ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე პოლიცია გამომეძახა, უცნაური იყო, როდესაც წესიერად ტელეფონის ყურმილი არ მქონდაა დადებული, რომ პოლიცია მოვიდა. ვკითხე კიდეც—ასე ჩქარა როგორ მოხვედით? მიპასუხეს—აქვე ახლოს ვიყავითო.

პოლიციას თავი არ შეუწუხებია, რომ ან ექსპერტი გამოეძახა, ან ანაბეჭდები აეღო და საერთოდ, მითხრეს, რომ ასეთი წვრილმანი ნივთების დაკარგვის გამო საქმეს არ აღძრავდნენ. როდესაც დამკითხეს, ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ კითხვები ქურდობის ფაქტს ნაკლებად ეხებოდა. სამაგიეროდ აინტერესებდათ, ეროვნულ მოძრაობაში რა საქმიანობას ვეწეოდი, რა ურთიერთობა მაქვს ქალბატონ მანანასთან. საკმაოდ ჩახედულები აღმოჩნდნენ ყველა გამართული მიტინგის საქმეში. მეორე დღეს კვლავ მემუქრებოდნენ, თუ კიდევ გამოვჩნდებოდი მიტინგებზე, ფიზიკურად გამისწორდებოდნენ...

აი, ასეთი დემოკრატიაა საქართველოში. ისეთი ადამიანები, რომლებიც მართლა ყაჩაღები და კაცის მკვლელები არიან, თავისუფლად დასეირნობენ ქალაქში, მე კი მხოლოდ იმისთვის, რომ მშვიდობიან მიტინგებს ვესწრები და ჩემი მოღვაწეობა მხოლოდ წერით შემოიფარგლება, მოსაკლავად დამსდევენ.

იცით, საქართველოში გამეფებული დაუსჯელობის და განუკითხაობის სინდრომი ძალიან ცუდი მაგალითია ჩვენი მომავალი თაობისათვის. როცა „ხელისუფლება" ასეთ ღონისძიებებს მიმართავს, განწირულია. ეს მხოლოდ მის სისუსტეზე მიუთითებს. დაღუპულია ისეთი მთავრობა, როდესაც შენივე ხალხს მხოლოდ პოლიციის უხეში ძალით უპირისპირდები, სხვათაშორის მკითხველი დამემოწმება, რომ ჩვენი პოლიცია კვლავ საბჭოური მენტალიტეტით აზროვნებს და გამოირჩევა დაბალი ინტელექტუალური დონით, უკულტურობით და გაუნათლებლობით.

დღეს, როდესაც ფაქტიურად შინაპატიმრობაში ვიმყოფები და იმის საშუალებაც აღარ მაქვს, მივიდე იქ, სადაც ყველაზე მეტად მიყვარს მისვლა და ჩემი ხალხი დგას, მხოლოდ მეგობრების დახმარებით შევძელი გაზეთში გამომეხატა ჩემი პოზიცია.

**როცა შინ დავბრუნდი და სახლის კარი შევაღე, ყველაფერი თავდაყირა და დარბეული დამხვდა—განსაკუთრებით ჩემი ოთახი...**

**დაუპატიჟებელ სტუმრებს თან წაეღოთ 26 მაისთან დაკავშირებული ფოტომასალა, კასეტა, რომელზეც ჩაწერილი იყო მიტინგის დარბევა, ასევე, დიქტოფონი, რითაც ინტერვიუებს ვიწერდი...**

*P.S.: ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხუნტა მოსვლის დღიდანვე დამარცხებულია! შეუძლებელია თავისუფლებისთვის მებრძოლი სულის დამარცხება. ასე რომ, ჩემო „ძვირფასო სამართალდამცველებო", ნაცნობებო და უცნობებო, მე თქვენზე გამარჯვებული ვარ!*

## ჩვენი მძიმე ისტორია

# საუკუნის მკვლელობა წმიდა ანტონ მართყოფელის სავანეში

1917 წლის ღვინობისთვის 10-ს გაზეთი „საქართველო" ამ დიდი მამულიშვილის დევნასთან დაკავშირებით წერდა: „1908 წლიდან ეპისკოპოს კირიონის ნამდვილი წამება იწყება. უკანასკნელ ქართველ კათალიკოზ ანტონ მეორის შემდეგ წამების ჯვარი ეპისკოპოს კირიონს ხვდა. სიცივე, შიმშილი, მონასტრიდან მონასტერში დევნა, უდაბნოში ცხოვრება, ყოველწამს სიკვდილის მოლოდინში ყოფნა—აი ეპისკოპოს, კირიონის ცხოვრების შინაარსი".

მხოლოდ 1915 წელს დაუბრუნდა მას სამწყსოს მართვის უფლება და ვიტებსკის საეპისკოპოსო ჩააბარეს. მალე რუსეთში ემხობა რომანოვ-ულრიხების სისხლში ამოთხვრილი ხელისუფლება და დედა—სამშობლოს მოწყურებული დიდი მამულიშვილი საქართველოში ბრუნდება. ამასობაში ქართულმა სამღვდელოებამ დიდი ეროვნული გამოცოცხლება-ფრთაშესხმის ვითარებაში აღადგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა (1917 წლის მირკანის 12-ს), ხოლო 1917 წლის ენკენის თვის 17-ს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია იმ დროის ყველაზე ღირსეული, განათლებული, დამსახურებული და სამშობლოსათვის თავდადებული მოღვაწე კირიონ II, რომლის საზეიმო კურთხევა ამ მაღალ თანამდებობაზე ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის სანეტარო დღეს—ღვინობისთვის 1 მოხდა სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე.

დაწვრილებით შევეხოთ ამ მართლაც და სანეტარო და ბედნიერ დღეს. მსურს დავიწყო მ. ჯანაშვილის ისტორიული სიტყვებით: „სვეტიცხოვლობას მთელმა საქართველომ თავისი არჩეული აკურთხა კათალიკოზ-პატრიარქად და ესეთი კურთხევა იქვე იდღესასწაულა დიდებულად, ისე, როგორც შეჰფერის თავისუფლების მოყვარე და დიდად მოჭირნახულე ერს".

ახლა გაზეთ „საქართველოს" მოვუსმინოთ: „სვეტიცხოვლის მაღალმა კედლებმა პირველად საუკუნე მწუხარების შემდეგ გაანათეს წმინდა სიხარულით ამაღლებული ერის ზეიმი და ამაყად მოირთვეს თავი, რომ თავისი ნათელი სიწმინდით ეკურთხათ ნატანჯი ეკლესიის თავისუფლება და განაწამები ერის სიხარული...

ხალხის გაშლილი აღფრთოვანება, რომელიც პირველად გამართა ერმა თავის ამაყი ბედნიერებისათვის, საუკუნოდ სამახსოვროდ ხდიდა თავისუფლების გვირგვინობის დღესასწაულს. საქართველო ყოვლის კუთხისა ერთის ფიქრით მოცული და ერთის ამპარტავნებით თავაწეული მთლიანი აღტაცებით ელოდა, რომ ეხილა თავისი ნებით ამორჩეული თავისი ეკლესიის უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი.

და ეს წამი მათის შეხვედრისა ძნელად თუ დაავიწყდება ვინმეს.

სადგურის (მცხეთის—ა.მ.) ბაქანი დროშებითა და ყვავილებით მორთული, აუარებელი ხალხით გაჭედილი, სულგანაბული, კათალიკოსის მატარებლის მოსვლისას თითქოს ერთ ცქერად იქცა" (გაზ. „საქართველო", ღვინობისთვის 3).

ასევე შთამბეჭდავად არის აღწერილი მთიულთა და ფშავ-ხევსურეთის ამაყი შვილების ჩამოსვლა საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად კირიონ II კურთხევაზე.

„ბაქანის გვერდზე სალმისათვის ჩამწკრივებულა ჩაჩქანში ჩასმული და ფარხმალ მომარჯვებული მთიულთა მხედრობა.

თავის ამაყ მთებიდან ჩამოსულან ფშავთა და ხევსურთა არწივნი, რომ თავი დახარონ კათალიკოსის წინაშე და ხელი ძმობისა მისცენ თავის საყვარელ ძმებს" (იქვე).

შემხვედრთა 110-ათასიან კრებულს ამშვენებდა საქართველოს მარადიული გაზაფხული—ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები, ჩვენი ახალგაზრდობა. ბაქნის შუაგულში რკალი შეუკრავთ მაღალ, ქულაჯიან ჭაბუკებს და თეთრებში მორთულ ასულთ, საქართველოს ახალგაზრდობას... ცისფერ დროშას ორი სურათი ამშვენებს—ნინო და რუსთაველი—უწმინდესობა საქართველოს ეკლესიისა და დიდება ქართული კულტურისა" (იქვე).

იქვე იყო ახლადჩამოყალიბებული ქართული მხედრობა. „წესრიგს მწყობრად იცავენ ქართველი ჯარისკაცები. მათი ცეცხლისფერი ქუდები ელავენ ყოველ მხრიდან და ნათელ ზეიმს კიდევ უფრო აფერადებენ.

თბილისიდან მცხეთაში ჩამოსულ მატარებელს, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II, საზეიმო კურთხევისათვის ჩამოიყვანა, ასი ათასზე მეტი ადამიანი აღფრთოვანებული შეძახილებით, უსაზღვრო მოწიწებითა და სიყვარულით ხვდება. უწმინდესი და უნეტარესი გულთბილად მიესალმება მის შესახვედრად მოსულ ხალხს, დინჯად ჩამოდის მატარებლიდან და ჯდება მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ მანქანაში. პატრიარქის მანქანა „გარშემორტყმული აუარებელი ხალხით, ნელა იძვრის სვეტიცხოვლისაკენ. ხიდთან მწვანე ფოთლების დიდი თაღია გაკეთებული და მთიელი ცხენოსანი კათალიკოსისა და მისი ამალის შესახვედრად წმინდა გიორგის დროშით დაწინაურებულა...

ტაძრის უზარმაზარი გალავანი ხალხით არის გატენილი... ხალხი მოუთმენლად ელის ზარების ხმას, რომელმაც უნდა ამცნოს მისი უწმინდესობის მოახლოება...

ჩამოჰკრეს ზარი. კათალიკოსმა გალავანს მიაღწია" (იქვე).

აღწერს რა ქართული სულის ზეიმს ამ ბედნიერ დღეს მცხეთაში, გაზეთი „საქართველო" განაგრძობს: „დღევანდელი დღე ბედნიერ ქორწილს ჰგავს. დღევანდელი დღე ფერების სიხარულია. მასში გაცოცხლდა ძვირფასობა ძველი საქართველოსი" (იქვე).

მართლაც რომ გულის სიღრმიდან ამოსული ღრმად შთამბეჭდავი სიტყვებია!

შემდეგ გაზეთი აღწერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის მიბრძანებას ჩვენს უმთავრეს სალოცავში—„სვეტიცხოვლის დიდი ტაძარში" (ლადო ასათიანი), იქ გადახდილ წირვას და უწმინდესის კურთხევას:

„ბრძნული ნაბიჯით მობრძანდება უწმინდესი და უნეტარესი და ხალხის ერთი წყებიდან მეორე წყებაში გადადის ჩურჩულით მისი სახელი.

ყველაზე წინ მიდის გენერალი გაბაშვილი და მთავარსარდლის ხმით აძლევს წესრიგის განკარგულებას. ყოველი მისი სიტყვა წამსვე სრულდება. სვეტებად მდგარ ხალხს ჯვარს სახავს კათალიკოსი და მიაღწიეს კარებს, რომელშიც მას ხვდება (საზეიმოდ—ა. მ.) შემოსილი სამღვდელოება. გარედან ისმის ხმები, ეროვნული ჰიმნი, რომელსაც ასრულებს ძვირფასად მორთული ჭაბუკთა გუნდი.

იწყება წირვა. ხალხით ავსებულ ეკლესიაში მოსჩანს მრავალი უცხოელი. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ინგლისის, ბელგიისა და საფრანგეთის კონსულები, რომლებიც აქ მოსულან თავიანთი ამალით. როდესაც კათალიკოსი შემოსეს ძველებური ანაფორით და მიტრით. ეს იყო კიდევ ერთი ახალი წუთი, რამაც აგრძნობინა ხალხს სანატრელი გაცოცხლება ძველი საქართველოსი.

პატრიარქის სახე იმ წუთში უთუოდ დაუვიწყარია. ის იყო მთლიანად უძრავი

↳ 4

ჩვენი ძნელი ისტორია

↪ 3

# საუკუნის მკვლელობა წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში

და განათებული. წარსული ტანჯვა ჩანდა მის ფერმკრთალობაში, მისი ხმა იყო ნელი და მთრთოლავი და საკმევლის წმინდა სურნელებაში მორწმუნე გული იგრძნობდა განგების სიახლოვეს" (იქვე).

ასე იზეიმა ერმა და ბერმა, რუსეთის კოლონიური მონობიდან გათავისუფლებულმა საქართველომ ეს ჭეშმარიტად სანეტარო დღე—სვეტიცხოვლობის დღესასწაული სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის საზეიმო კურთხევით.

კურთხევიდან სულ მალე კირიონ II-მ შექმნა ძლიერი საკათალიკოსო საბჭო და დაიწყო დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის ყოველმხრივი განმტკიცების, ჩვენი ეკლესია-მონასტრების აღდგენისათვის. აქვე დავძენ, რომ სხვადასხვა წლებში ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიის გარდა მისი უშუალო მონაწილეობით შეკეთდა შუამთისა და ქვათახევის მონასტრები, სვეტიცხოველი, ანანურის ტაძარი, რუისის, ნიქოზისა და სხვა ეკლესია-მონასტრები. გარდა ამისა, კირიონ მეორის სახით ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცულ ძვირფას ქართულ ხელნაწერებს ჭეშმარიტად ღირსეული დამცველი და ქომაგი გამოუჩნდა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კირიონ II-ემ თავის საზაფხულო ადგილსამყოფელად მარტყოფის სავანე გამოაცხადა. ღრმა სულიერი კმაყოფილების გრძნობით მსურს აღვნიშნო, რომ ეს დიდი მამულიშვილი წრფელი სიყვარულის გრძნობითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული მარტყოფის სახელოვანი წარსულისა და ჩემი მშობლიური სოფლის სიწმინდისადმი, უწინარეს ყოვლისა, მარტყოფის მონასტრისა და წმიდა ანტონ მარტყოფელის პიროვნებისადმი. საგულისხმოა ისიც, რომ ჯერ კიდევ 1899 წელს თავისი ერთ-ერთი ბრწყინვალე საისტორიო თხზულება სწორედ ამ დიდ ქრისტიან წმინდანს მიუძღვნა. გავიხსენოთ ამ ღვთაებრივი ნაშრომის სახელწოდება: „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა".

გავიხსენოთ მისი სიყვარულით აღსავსე ერთ-ერთი შეხვედრაც მარტყოფელებთან 1918 წლის ვარდობისთვის 26-მდე, ე. ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. „სიკვდილის წინ კირიონი გამოვიდა მარტყოფელების წინაშე. იგი თავის გამოსვლაში ამბობდა, რომ მალე ქართველი ხალხი საკუთარი ბედის გამგებელი გახდება, რომ შორს არ არის ის დრო, როცა გახდება დამოუკიდებელი. გამარჯვების, ბედნიერი მომავლის ეს რწმენა კირიონმა ბოლომდე შეინარჩუნა (გაზ. „განათლება", 1993 წლის გიორგობისთვის 19).



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II დიდი სიხარულით შეეგება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1918 წლის ვარდობის 26-ს. მეორე დღესვე თბილისში, თავისუფლების მოედანზე (დღეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანი) მან დიდი საზეიმო პარაკლისი გადაიხადა „და მგზნებარე სიტყვით მიმართა შეკრებულ საზოგადოებას" (სერგო ვარდოსანიძე—„კირიონ II—უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი" (1917-1918), ოზურგეთი, 1993, გვ. 23). მანამდე იმავე წლის აპრილში წმინდა დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს საქართველოს პირველი ეროვნული უნივერსიტეტის—თბილისის უნივერსიტეტის—გახსნა მანვე პარაკლისის გადახდით აღნიშნა ამ სასწავლებლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

და ასეთ დიდ მამულიშვილზე, სასიქადულო და ღმერთშემოსილ მოღვაწეზე აღმართეს თავიანთი უწმინდური და სისხლიანი ხელები მარტყოფის წმინდა მიწაზე, წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში საქართველოს მტრებმა და მოღალატეებმა 1918 წლის თიბათვის 26-27-ის ავადსახსენებელ ღამეს.

1918 წლის თიბათვის 20-იანი რიცხვებია. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II საკათალიკოსო საბჭოს წევრებს სხვადასხვა დავალებებს აძლევს და თან უბარებს, რომ ზაფხულის დარჩენილ თვეებს წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში გაატარებდა. მრავალი წლის ტანჯვა-წამებასა და გადასახლებაში მყოფი ამ სასიქადულო, ღმერთშემოსილი პიროვნების ჯანმრთელობა ჯანსაღ ჰაერსა და მყუდრო ადგილზე დასვენებას ითხოვდა. სწორედ ასეთი ადგილია იალნოს მთების კალთები და ამ კალთებზე მდებარე წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანე თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, მშვენიერი ჰავით და ანკარა წყაროებით.

გათენდა თიბათვის 26. დაახლოებით დილის 9 საათზე კირიონ II სამიოდე პირის თანხლებით თბილისიდან ეტლით გაემგზავრა მარტყოფს. ორხევიდან გადაუხვიეს თუ არა დიდი ლილო-მარტყოფის გზაზე, სასიამოვნო სიგრილემ სულიერი შვება მოჰგვარა საქართველოს სულიერ მოძღვარს. მარცხნივ ჩამოიტოვეს სოფელი დიდი ლილო და ხელისაღმართის თავზე გადადგნენ. გამოჩნდა იალნოს მთების თვალწარმტაცი ხედი, მალე ნორიო-მარტყოფის შემოგარენიც და უწმინდესი და უნეტარესი თავის ამაღლებული ფიქრებით უკვე წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში იყო.

გზად მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ეკლესია ინახულა. წმინდა გულით წმინდა სანთლები დაანთო და აღავლინა ლოცვა ღვთის სადიდებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ. ტაძრის მსახურებმა მიტროპოლიტ სტეფანე რუსთველის მიერ საეკლესიო კრებულისათვის აშენებულ სახლში, რომელიც იქვე ეკლესიის გვერდით, მის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარეობდა, მოკრძალებული სადილი გაუმართეს ქართული ეკლესიის მეთაურსა და მშენებელს. მცირე ხანს შეისვენა და გზა მარტყოფის სავანისაკენ განაგრძო (სავანე 5 კმ-ით არის დაშორებული სოფელს).

თბილისიდან 5-საათიანი მგზავრობა-შესვენების შემდეგ მიაღწია წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეს. თბილისიდანვე აყოლილი არაკაცები მორიახლოდან უთვალთვალებდნენ და სისხლმოწყურებულ მგლებივით მიჰყვებოდნენ მხცოვან მამულიშვილს.

წმინდა ანტონ მარტყოფელის მონასტრის ბერ-მონაზვნები დიდი სიყვარულით, მოწიწებითა და მოკრძალებით შეეგებნენ თავიანთ სანუკვარ მეუფეს. ეტლიდან ჩამოსვლაში დაეხმარნენ. იქვე სავანის ეზოში წყლის აუზთან საუკუნოვან ცაცხვებქვეშ შეისვენა, მონასტრის ბერ-მონაზონს იქაური ამბები გამოჰკითხა, ავიდა სავანის მთავარ ტაძარში და წმიდა ანტონ მარტყოფელის საუკუნო განსასვენებლის სიახლოვეს საკურთხეველთან წმინდა გულითა და სასოებით ილოცა. სისხლმოწყურებულმა ორფეხა მგლებმა კი დაღამების მოლოდინში ტყის სიღრმეს მისცეს თავი.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდევაც და მოუხრეშავ გზებზე რამდენიმე საათის მგზავრობით დაღალულმა კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ მცირე ვახშმობის შემდეგ საპატრიარქო ბინაში თავის კუთვნილ საძინებელ ოთახს მიაშურა მოსასვენებლად. ერთხანს სამშობლოსა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მომავალზე ამაღლებულმა ფიქრებმა ძილების საშუალება არ მისცეს. სასთუმალიდან წამოიწია, აიღო თავისი ნალოლიავები წიგნი „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა", მბჟუტავ ლამფას პატრუქი ამოუწია და კითხვა დაიწყო... ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა და ერისა და ბერის მომავალზე დაუცხრომლად მზრუნავ მოძღვარს ჩაეძინა. ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ მას გაღვიძება აღარ ეწერა...

შუაღამე გადასულია. ორფეხა მგლები გამოძვრნენ თავიანთი სამალავიდან და ფეხაკრებით მიუახლოვდნენ ჯერ კათალიკოს-პატრიარქის ბინას, ხოლო მალე მის საძინებელ ოთახსაც (თავდამსხმელთა რიცხვს 3-დან 4-მდე არაკაცით საზღვრავენ). ფრთხილად, უხმაუროდ აღებენ საძინებლის კარს. იარაღმომარჯვებული ერთ-ერთი მკვლელი შედის ოთახში, დანარჩენები გარეთ დგებიან. გასროლის ხმის ჩასახშობად ისევ ხურავენ კარს და მძინარე მოძღვარს მკვლელი სულთამხუთავივით აღგება თავს... წამიც და თავისი დროის უდიდესი ქართველი სისხლში ცურავს...

> *შუაღამე გადასულია. ორფეხა მგლები გამოძვრნენ თავიანთი სამალავიდან და ფეხაკრებით მიუახლოვდნენ ჯერ კათალიკოს-პატრიარქის ბინას, მის საძინებელ ოთახს... ფრთხილად უხმაუროდ აღებენ საძინებლის კარს. იარაღმომარჯვებული ერთ-ერთი მკვლელი შედის ოთახში, დანარჩენები გარეთ დგებიან. გასროლის ხმის ჩასახშობად ისევ ხურავენ კარს და მძინარე მოძღვარს მკვლელი სულთამხუთავივით აღგება თავს... წამიც და თავისი დროის უდიდესი ქართველი სისხლში ცურავს...*

მკვლელები უხმაუროდ და სასწრაფოდ ტოვებენ მარტყოფის მონასტრის მიდამოებს და ღამის სიბნელეში უჩინარდებიან. საუკუნის მკვლელობის საიდუმლოს კი წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში თავსატეხად უტოვებენ ქართველთა მრავალ თაობას...

აკაკი მათიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

# რა სარგებლობა მოგვიტანა ამ „მანევრებმა"?

უზარმაზარი სამხედრო ძალებით, მაღალი რანგის სარდლობით, უახლესი სამხედრო ტექნიკით ეწვია ფოთს ჩრდილო ატლანტიკური სამხედრო ბლოკი „ნატო". რაღა თქმა უნდა, ქალაქის ხელმძღვანელობაც დაფაცურდა ესოდენ საპატიო სტუმართა სათანადოდ მისაღებად.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, შევარდნაძის „მარჯვენა ხელს" ნუგზარ საჯაიას დაუვალებია ფოთის მერიისათვის: ვინაიდან ბიუჯეტში თანხები არაა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოახდინოს ფოთის „შელამაზება" და სხვა მრავალი საკითხის გადაჭრაო. მერედა, განა იოლი იყო ყოველივე ეს? საცოდავად გამოიყურება ფოთი: დანგრეული გზები, მინებჩამტვრეული, ჩამოფხეკილი, სინესტისგან გარუხებული სახლები, ადამიანთა ულიმღამო გამოხედვა, თუმცა ქუჩები ცარიელია, 18 საათის შემდეგ ავტობუსებიც კი არ მუშაობს. მრავალ ძველ სადარდელს ისიც დაემატა—ამ ჯარების ჩამოსვლით შევარდნაძემ რუსეთის კიდევ უფრო მეტი გაღიზიანება არ გამოიწვიოს და რაიმე საშინელება არ აუტეხოს ისედაც გაჭირვებულ საქართველოს. ხალხი მშიერია, ჩაუცმელი, რამდენი თანხა დასჭირდა ამ წვრთნას, საინტერესოა რისთვის? კურორტი მალთაყვა საშინლად გამოიყურება, გავსებულია კარვებით, რაღაც შემოღობილი ადგილებით, სავსეა ჩვენი ჯარებით, პოლიციის, უშიშროების ხალხით. ბატონი ზვიადის დროს ის შესანიშნავად გამოიყურებოდა. ახლა კი ყველაფერი გულს გვტკენს. ყოველდღე ქუჩებს თითო-ოროლა ასფალტის „ლატკას" უკეთებენ უსახსრობის გამო. ქართულ ჯარში ჯარისკაცები შიმშილით კვდებიან, თუ არადა დეზერტირები ხდებიან. შიმშილით გარდაიცვალა შესანიშნავი ჯარისკაცი ზვიად სარალიძე და რამდენი კიდევ—ვინ იცის. შარშან აგვისტოში ტრაგიკულად დაიღუპა ბატონი ზვიადის განვევის ჯარისკაცი (ხელმძღვანელების გადმოცემით—საქართველოს გმირი) ერმალო გურგენის ძე ლომთაძე, რომელიც გმირულად იბრძოდა პარტიზანებთან ერთად აფხაზეთში და დაეცა მტრის ტყვიით განგმირული, ასე დაიღუპა 28 წლის ქართველი. ფაქტობრივ ხელისუფლებას ეს არ ენაღვლება, არ ფიქრობს ნამდვილი გვარდიის შექმნაზე, რომელსაც შეეძლება სამშობლოს დაცვა. „ნატოს" ჯარების ჩამოყვანა ხალხმა შეაფასა როგორც ერთგვარი „პოკაზუხობა" რუსების წინააღმდეგ, როგორც საქართველოსთვის არაფერი სიკეთის მომტანი. ისინი თავის სასარგებლოდ ირჯებიან მხოლოდ.

კაცმა არ იცის, კიდევ რა საშინელებებს ამზადებს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

„ქუჯის" ფოსტა

# ნორმალური პასუხიც გვენატრება

დიდი ხანია ვეძებ გაზეთს, რომელშიც მხოლოდ სიმართლეს წაიკითხავ და როცა ხელში „ქუჯი" ჩამივარდა, ძალზე გამიხარდა, ვეღარ მოვისვენე, რომ არ შევხმიანებოდი.

ობლობაში გავიზარდე. სულ ახალგაზრდა დავქვრივდი, მეუღლე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დამეღუპა. მყავს ორი ვაჟიშვილი. უფროსი ინჟინერია, ისიც მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ 2 წელია შინ ზის და, უკვე წამოზრდილი ქალიშვილების მამა, პედაგოგი მეუღლის ხელსაა შეჩერებული. რა ვქნათ, როცა არც ვაჭრობა შეგვიძლია, არც აქედან აბარგება და ბევრი მეზობლის მსგავსად უცხოეთში გადახვეწა. დიდი ხანია არ მიმიღია პენსია ქარხნიდან, რასაც მარჩენალის დაკარგვის გამო მაძლევდნენ.

როცა ქარხანას მივაკითხავთ, გვეუბნებიან, მალე ამუშავდება და ყველას გვეშველებაო, მაგრამ მის ამოქმედებაზე თუკი მართლაც ზრუნავს ვინმე, ისეთი ძარცვა-გლეჯა როგორღა ავხსნათ? რომ იტყვიან, ქვას ქვაზე არ ტოვებენ, ნეტავ ვიღა მოკიდებს ხელს ამგვარად გაპარტახებულ საწარმოს?

ვტირი, როცა ტელევიზორში ვუყურებდი, ნოლაიდელი დ. გამყრელიძეს როგორ უმტკიცებდა, ხელფასები და ნარჩენი პენსიები სრულად გადავიხადეთო. მე მგონია, უკვე ისეა თავგასული ეს ხალხი და მთავრობისგან იმგვარად ხელდასმული, რომ არავის არაფრად აგდებენ. მათი სიტყვები ხომ ცინიზმითა და დაცინვითაა აღსავსე. ამგვარი „მზრუნველების" მფარველობით გათამამებული ქარხნის ხელმძღვანელობა, პირადად დირექტორის მოადგილე ჯ. ჯღუ გაბრიჩიძე ნესიერ პასუხსაც არ კადრულობს, კიბეზე მოგვაძახიან სათქმელს და მიიმალებიან.

ვინ მიიტანს გულთან ჩვენს გასაჭირს, ვინ გამოგვიწვდის დახმარების ხელს?

ე. გუცხრიკიძე

ჩვენი ყოფა

# დევნილებო, როდემდე ვიყოთ ასე?

პროვოცირებული ომი, რომლის სცენარი კრემლში დაიწერა, ჩვენი მტრის საამებლად შესანიშნავად განახორციელა ე. შევარდნაძემ, ვაი ქართველების—სიგუას, იოსელიანის, კიტოვანის და სხვათა ხელდასმით. შევარდნაძემ დაამტკიცა, რომ ის არის საქართველოს მტერი, ის არის ჩემი მტერიც, რადგან დამატოვებინა სახლ-კარი, ეზო-გარემო. იგი მოვიდა საქართველოში ცეცხლითა და მახვილით ქვეყნის ნგრევა-გაჩანაგებისათვის. დაიწყო ომი და წააგო, დაიმსახურა უვარგისი მთავარსარდლის სახელი, შეასრულა მოღალატე ხელმძღვანელის როლი.

*ვიქეცით ზედმეტ ბარგად, გვეუბნებიან ათასგვარ საყვედურებს. რატომ გამორბოდითო.*
*თურმე რაც დღეს ხდება, ჩვენი ბრალი ყოფილა. ასეთი „პატრიოტები" ახლა იმასაც კი ცდილობენ, მეგრელები და დანარჩენი ქართველები დააშორიშორონ, დაუპირისპირონ ერთმანეთს, მხედრიონელთა ლოზუნგების მიხედვით და მათ კვალად, მაგრამ არაფერი გამოუვათ.*

სამხედროებისათვის ცნობილია გამონათქვამი: არ არსებობს ცუდი მებრძოლი, არსებობენ ცუდი სარდლები—ჩვენმა „მთავარსარდალმა" ომი წააგო, მაგრამ მისი „რჩეულნი" ტაშით შეხვდნენ. რა გამოირკვა მისი მმართველობის პერიოდში? თბილისში მართლაც მტრის უამრავი აგენტი ყოფილა, უამრავი ვაი ქართველი. რისთვის მოხდა სამხედრო გადატრიალება? რომ საქართველოს არ ღირსებოდა თავისუფლება, იგი გაეძარცვათ, გაექურდათ, გაელატაკებინათ, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოეტანათ სატანიზმი, გარყვნილება, მკვლელობა, ათასგვარი სიბინძურე.

მე აქ თბილისში, ჩვენი ვაი მთავრობის წყალობით ვარ. ბევრმა დღესაც არ იცის, სინამდვილეში რა მოხდა აფხაზეთში. ჩვენ სანადირო თოფებიც კი ჩამოგვართვეს და აფხაზებს დაურიგეს, სანამ ავტომატებს შეიძენდნენ. ახლა ხშირად მესმის: რატომ არ იბრძოდით აფხაზეთში, რას გამორბოდითო. კი მაგრამ, ვინ იყო ჩვენი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი, ორგანიზატორი? დაბნეულებმა ვერაფერი გავიგეთ, სანამ საკუთარი მიწა-წყალი ფეხქვეშ არ გამოგვაცალეს. განა ქართველი ცუდი მებრძოლია? გავიხსენოთ, რა მოხდა გუმისთაზე, ბრძოლები ანატოლი კამკამიძის ხელმძღვანელობით. როგორ ისახელა თავი ჩვენმა ჯარმა. ეს იყო ქართველების ბრძოლისუნარიანობის ნამდვილი დემონსტრირება. რა ქნა ამ დროს შევარდნაძემ? სამხედრო ნაწილებში კამკამიძეს ამცირებდა: რა ქართველია, ქართული არ იცისო. რა, ნადიბაიძე კარგად ჭიკჭიკობდა ქართულად? როცა სოფელი შრომა დაეცა, ერთი ქართველი ქალი მივიდა შევარდნაძესთან სოხუმში ტირილით და თხოვნით, მიშველებოდა ფრონტს. მან იქვე მისცა პირობა ხალხს, რომ ელცინს დაუკავშირდებოდა და რუსის ჯარიც წინ აღარ წამოიწევდა. ესე იგი ასეთი „შეთანხმებანი" შესაძლებელი ყოფილა.

ჩვენი დემორალიზებული ჯარისა და მისი ხელმძღვანელების დიდი ნაწილი საკუთარი ინტერესებით იყვნენ გართულნი. კარგად გვახსოვს, ნაძარცვი ქონებით დატვირთული რამდენი ავტომანქანა მოდიოდა აფხაზეთიდან და სამეგრელოდან თბილისისაკენ. ალაფით შოვნით დატვირთული მძღოლები მოიმღეროდნენ: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა". ვაი ასეთ ქართველობას. გამიგონია დედების ასეთი ტირილიც: შვილო, შვილო, ორი „ვოლგა" ჩამოიყვანე და მესამედ შენ ჩამოგიყვანეს მკვდარი.

როცა ტყვარჩელი ჩვენგან იყო ბლოკირებული და ის ის იყო მტერს თეთრი დროშა უნდა აეფრიალებინა, მაშინ მოგვადგა 31 ავტომანქანა, რომლებსაც მოაცილებდა სამი წარმომადგენელი: ქართველი, რუსი და აფსუა. ასეთ ვეებერთელა მანქანებს ყველა პირველად ხედავდა. ჩვენებს არ მისცეს დალუქული მანქანების გაკონტროლების საშუალება. ოჩამჩირის კომენდანტი პირადად დაუკავშირდა შევარდნაძეს და მან მისცა მითითება გაეტარებინათ ეს მანქანები. სოფელ არადუში ჩვენმა ნაწილმა მაინც შეაჩერა მანქანები. საქმეში კვლავ მთავარსარდალი ჩაერია. ეს მიამბო თვითმხილველმა, რომელიც თურმე ისე განერვიულდა, თავის მოკვლა უნდოდა. ტყვარჩელში ამ მანქანებმა ჩვენს მტერს „მიართვა" ცოცხალი ძალა, იარაღი, მედიკამენტები, საკვები... ვინ იტყვის ამის შემდეგ, რომ ჩვენ გაყიდულები არა ვართ?

ჩვენი მიწა-წყლიდან რომ გამოგვრეკეს, მოგვცეს „დიდი შეღავათი"—გვაქციეს ვაჭრუკანებად, ყველასათვის ზედმეტ ბარგად. ვიტანთ ათასგვარ დამცირებას. ერთხელ წყნეთში მოვხვდი სუფრაზე. ერთ-ერთმა მოქეიფემ სულ დედა გვაგინა—აფხაზეთის ქართველობა ყველა ზვიადის მომხრენი იყავითო, შედეგიც მიტომ გაქვთ ღირსეულიო. კი მაგრამ ამ უტვინოს რა სიკეთე მოუტანა შევარდნაძემ?

სხვა ადგილზე ერთმა ცემა დამიპირა: რატომ არ იბრძოდი, სად გამორბოდიო—თურმე რაც დღეს ხდება, ჩვენი ბრალი ყოფილა. საყვედური საყვედურს მოსდევს, რატომ არ დაუდექით შევარდნაძეს გვერდით, ომს მოიგებდითო. ასეთი „ქართველები" ახლა იმასაც კი ცდილობენ მეგრელები და დანარჩენი ქართველები დააშორიშორონ, დაუპირისპირონ ერთმანეთს, მხედრიონელთა ლოზუნგების მიხედვით და მათ კვალად, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

ახლა მე მინდა გკითხოთ ლტოლვილებს: ასე ვიყოთ აქ? ჩვენ რაღაც



სხვა ზომები უნდა მივიღოთ, თორემ აქ ამოვწყდებით. მერე და ვინ დაბრუნდება ჩვენს სახლებში? რა თქმა უნდა არა ქართველები. შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც იბრძვის შინ დასაბრუნებლად. ვატარებდით ყრილობას, შეგვიშალეს, შემოგვისიეს პოლიცია, დაგვარბიეს, კეტებით გვცემეს, შემაძულეს პოლიცია, აღარ მენახება პოლიციელები და ჩინოვნიკები. საცოდავად ტიროდა ერთი თბილისელი ქალი, რომელსაც ძალზე შევეცოდეთ. საქმე იქამდე მიიყვანეს, ზოგი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სერიოზულად, მივიდეთ იმ ხალხთან, ვინც ჩვენთვის ზრუნავს და იბრძვის შინ დასაბრუნებლად. აფხაზეთის მთავრობას ფეხებზე კიდია ჩვენი ბედი. აქ კარგად მოკალათდნენ და არც კი უნდათ დაბრუნება, თორემ სხვანაირად მოიქცეოდნენ და აქ არააშენებდნენ სასახლეებს. ამ ხალხისათვის უცხოა სიტყვა სამშობლო, პატრიოტიზმი, ნაციონალური გრძნობა, შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, დავითი.

ჩვენ თუ რამე არ ვიღონეთ, თუ ასე გავაგრძელებთ, დავრჩებით ვაჭრუკელებად, კუჭზე ფიქრით გართულნი, რაშიც ისინი შეგნებულად ხელს გვიწყობენ, მათ სურთ ჩვენს სახლებში სხვა ხალხი ჩაასახლონ. ამიტომ გონს მოდით. რაც ჩვენ გვჭირს, ნუთუ ამის ღირსნი ვართ? როდემდის ვითმინოთ.

დევნილებო, როდემდის ვითმინოთ?

გიორგი ბუხიძე,
ლტოლვილი
სოფ. თავისუფლებიდან

„ქუჯის" ფოსტა

# მიზეზთა მიზეზი

„მიზეზთა მიზეზი ცოდნის ნაკლებობაა"
(ილია)

მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე საქართველო თავისი ინტელექტუალური პოტენციით ოდითგანვე იპყრობდა ცივილიზებული სამყაროს ყურადღებას. დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში განათლებამ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას, მაგრამ გაუკუღმართებული აზროვნება საშიშროებას ქმნის ბევრი კეთილი საქმის ჩანასახშივე ჩაკვლომისა. თვითდინებაზე მიშვებულ ქუთაისურებს მინდა მოვაგონო „მკვირცხლი იმერი"—განთქმული ზრდილობითა და სტუმართმოყვარეობით, თავის სიტყვას რომ ამბობდა ქვეყნის ზნეობის გადარჩენისა და მორალური სახის შენარჩუნებისათვის... მე-20 საუკუნის დასაწყისის მძიმე სინამდვილეში—ეროვნული ცნობიერების დეფიციტის ჟამს,—ქართული სულიერების აკვანი ქუთაისმა დაარწია. ქუთაისში ფეხადგმულ მწერლობას და აღორძინებულ თეატრალურ ხელოვნებას ქართული ფენომენის გადარჩენისათვის მთელმა საქართველომ მოუხარა ქედი.

ამჟამად კვლავ საშიშროების წინაშე ვდგავართ... მიუხედავად იმისა, რომ პროგრესულ მსოფლიოს ცნობიერებაშენარჩუნებული ქართული ფენომენი აინტერესებს, იგი არასოდეს იქნება ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის დამცველი—ამაზე თავად უნდა ვიფიქროთ, ვიშრომოთ და ვახეიროთ გენეტიკური თვითმყოფადობის ნიჭი...

მუხას მუხლი როცა ეხვეოდა, მუხას როდი ჭრიდნენ, გონიერნი მუხლის მოცილებაზე ზრუნავდნენ. ხომ არ დადგა დრო ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ქართულად მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლო-



ბა ის გრძნობაა, რომლის გაღვიძება-გამომუშავებაც ბავშვობიდან უნდა იხდეს. მშობლიურთან შეხებით, სულიერ სიღრმეში წვდომით, გათავისებით, სიყვარულით წამოსულმა ეროვნული სიამაყის გრძნობამ უნდა გაღვიძოს მიძინებული ლეშადქცეული ის გული, რომელიც მოხსნის სინდისის დეფიციტის პრობლემას, რისი შედეგიც გათითოკაცებული ერია... მზისოდენა სიყვარულის ენერგიის დამტევ ქვეყანაში სიყვარულის დეფიციტია.

მოზარდთა ცნობიერების დახვეწა სულიერმა სამჭედლომ—სკოლამ უნდა იტვირთოს!.. არის კი დღევანდელი სკოლა ამისთვის მზად?

საქართველოში, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების გამო, უვიცობას დაედო ფასი (ფული იხარჯება უვიცობის შესაძენად: გადაუშლელი სახელმძღვანელოები, ნაყიდი ატესტატები, დიპლომები, ხარისხები, წოდებები). ამიტომაც, შემფასებელი თანდათან ქრება არენიდან.

ღვინო ხომ ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს, დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე.

ჩვენ, არევ-დარევის საკმაოდ ხანგრძლივი ხანა გვიდგას. დაწმენდისა და გადაღების ჟამი თუ არ დავაყენეთ, „ცხოვრება ისე გაგვთელავს, როგორც დილეული ლეკი ნაბადს"...

კმარა, დავამთავროთ უზნეობის ზეიმი!

კეთილი ნების ქართველებო! გავერთიანდეთ ქართული საქმის კეთებისათვის!

ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პასუხისმგებლობა" სათანამშრომლოდ იწვევს ყველა იმ გონიერ მოქალაქეს, რომელსაც სხვისი ჭირი ღობის ჩხირად არ მიაჩნია.

ჯიმი რუხაძე,
საზოგადოება „პასუხისმგებლობის"
პრეზიდენტი
მზია ხაჭაპურიძე,
ვიცე-პრეზიდენტი

# უკეთესი „ზრუნვა" აღარ შეიძლება

დღევანდელი განათლების სამინისტროს „მამობრივი ზრუნვა" სასწავლო დაწესებულებებზე, განსაკუთრებით კი პერიფერიების სკოლებზე საყოველთაოდ ცნობილია. განათლების რეფორმებმა ხომ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში პირდაპირ „არნახული აღმავლობა" გამოიწვია.

ჰოდა, მზრუნველი „მამები" და „დეიდები" ზოგჯერ იმასაც მოისურვებენ, ადგილებზე დახედონ თავიანთი ნამოღვაწარის შედეგებს. ახლახანს სენაკის რაიონის სოფელ კოტიანეთის სკოლას განათლების ინსპექტორი ქალბატონი ნანა ივანიძე ეწვია, ეწვია, მაგრამ რა, ცხვირაბზუებით დაიწუნა ყველაფერი, შენობაც კი, ასეთ ამორტიზებულ ნაგებობაში როგორ უშვებთ ბავშვებსო. ვერავითარმა არგუმენტმა ვერ გვიშველა, თუნდაც იმან, რომ „სახელგანთქმული ომის" პერიოდში სამი რუსული ტანკი იდგა სკოლასთან და შემოგარენს ბომბავდა. კედელიც მაშინ გაიბზარა.

ამგვარი რამ როგორ გაგიკვირდათ „სამოქალაქო ომის" დროს რუსთაველის პროსპექტის მხილველს, ან დიდი ილიას სახლ-მუზეუმი არ გინახავთ ამ ბოლო ხანებში?

ერთიანი საქართველოს სიმბოლო, კოლხური კოშკი ხომ გაპარტახდა, ნეტა ისიც ჩვენი უპასუხისმგებლობის ბრალი ხომ არ არის?

ჩვენ ნამდვილი გულშემატკივარნი გვჭირდება, თორემ თქვენნაირი „მზრუნველ-დამხედავნი" ისედაც ბევრი გვყავს. უნდა გითხრათ, რომ ასე თუ ისე უთქვენოდ ვართმევთ საქმეს თავს. სკოლის დირექტორი, ქალბატონი რუსიკო ჯოლია ხომ მართლაც შეუძლებელს აკეთებს.

ჩემს გარეშეც გაგცათ საკადრისი პასუხი „მოფაშისტო პროვინციელმა", მასწავლებელმა ილენა ჯიქიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

პაატა მაჭავარიანი

ჩვენი რწმენა

# როკ-მუსიკით გატაცება

## არქიმანდრიტი ლაზარე

ქრისტიანის სულზე დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ჯაზ-მუსიკა, როკ-მუსიკა, პანკ-მუსიკა და თანამედროვე პოპულარული მუსიკის სხვა ფორმები. თვით „როკენროლის“ წარმოშობა დასავლეთში „ახალგაზრდობის სექსუალურ რევოლუციად“ აღიქმებოდა. ეს დამანგრეველი „კულტურა“ პირდაპირ ჯოჯოხეთისკენ ისტუმრებს ახალგაზრდობას. მისი გზა მოფენილია ყველაზე საძაგელი, საშინელი, სასიკვდილო ცოდვებით. როკ-სიმღერების ტექსტებსა და როკ-ვარსკვლავების გამომწვევ გამოსვლებში ხშირად გაისმის ღმრთის გმობა. ხშირია უფალ იესო ქრისტეს ხსენება, ჯვრის ან მაცხოვრის გამოსახულების ჩვენება, რაც სიწმინდის აბუჩად აგდებაა და მეტი არაფერი.

იმისათვის, რომ საბოლოოდ გარყვნან ახალგაზრდობის გონება და რაც შეიძლება მეტად გაავრცელონ დემონური გავლენა, სიმღერების ჩანაწერებში ჩადებულია ე.წ. „ქვეცნობიერი ინფორმაცია“, ანუ საზარელი სიტყვები, მოწოდებები, წყევლა, რაც ჩანაწერის უკუღმა მოსმენისას კარგად ისმის. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქვეცნობიერი ფენა იჭერს ამ ფრაზას მაშინაც კი, როდესაც სიმღერა მსმენელისათვის უცნობ ენაზეა დაწერილი.

აღსანიშნავია, რომ „როკ-ენ-როლის“ ყველა ავტორი სატანური „ეკლესიის“ წევრია, ხოლო როკ-ჯგუფების უმრავლესობა ამა თუ იმ ლუციფერულ რელიგიას აღიარებს. როდესაც ფირფიტას უშვებენ, ანდა ახალი სიმღერის კონცერტზე გატანას აპირებენ, ისინი თავიანთი ტაძრის ქურუმს სთხოვენ მოაჯადოვოს ეს ნაწარმოები, რათა მან წარმატება მოიპოვოს.

ელის კუპერმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ დემონთან დადო ხელშეკრულება და ამ ამბავმა მას დიდი აღიარება მოუპოვა.

მიკ ჯაგერი („როლინ სთოუნზის“ წევრი) სატანის კულტის მსახური იყო და შავი მაგიის ყველა საიდუმლო იცოდა. თავის თავს იგი „ხორცშესხმულ ლუციფერს“ უწოდებდა. ამას მისი სამი სიმღერაც მოწმობს: „ეშმაკისადმი კეთილგანწყობა“, „მის სატანურ უდიდებულესობას“ და „ჩემი ძმის, დემონის შელოცვა“.

ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ არასოდეს დაუწერია და უმღერია ისეთი სიმღერა, მანამდე ჯადოსნურ ენაზე რომ არ ყოფილიყო დაწერილი.

ჯონ ლენონმა „ეშმაკის თეთრი ალბომის“ საჯარო შესრულებისას თქვა: „ქრისტიანობა გადაშენდება — იგი დაპატარავდება და მერე გაქრება. მე მართალი ვარ და ჩემი სიმართლე დადასტურდება... ჩვენ ახლა უფრო პოპულარულები ვართ, ვიდრე იესო ქრისტე“.



ახალგაზრდებს კარგად ახსოვთ „ლედ ზეპელინების“ ჯგუფის სიმღერა „კიბე ცისკენ“. მესამე სტროფის უკუღმა მოსმენისას გამოდის: „მე უნდა ვიცხოვრო სატანისათვის“, ხოლო სიტყვებში: „კიდევ გაქვთ დრო, რომ შეიცვალოთ გზა, რომელსაც ადგახართ“ — „საყვარელო სატანა, შენს გარდა ვერავინ მიჩვენებს გზას“.

„ბლეკ ოუკ არკანზასის“ ჯგუფის სიმღერაში, „როდესაც არკანზასში ელექტრობა შემოვიდა“, ერთ-ერთი ნაწილი უაზრო სიტყვების გროვას წარმოადგენდა. უკუღმა მოსმენისას გამოდის: „სატანა... სატანა... სატანა... იგი ღმერთია... ღმერთია... ღმერთია...“, რის შემდეგაც დემონური სიცილი გაისმის.

ფირფიტების ჩასაწყობი პაკეტებიც კი უკიდურესად გამომწვევადაა გაფორმებული. ესაა ეგზოტიკური და ეროტიკული, სატანური და სადისტური სურათები, სიმბოლოები, გადმობრუნებული სამკუთხედები (ეშმაკისა და ჯოჯოხეთის ქვესკნელის სიმბოლო), პირამიდები, მაგიური წრეები და ვაგინალური ნიშნები (მაგ. 666), ადამიანთა მსხვერპლშეწირვის, შავი მესების, ჯოჯოხეთური წარმომადგენლების სცენები.

როკ-კონცერტების უმრავლესობას დიდი მსხვერპლი ახლავს თან. გონდაკარგული ბრბოს ზედახორაში ზოგს თელავენ ან ახრჩობენ, ზოგს კი ნარკოტიკების ზედმეტი დოზა უღებს ბოლოს. ლოს-ანჯელესში ერთ-ერთ კონცერტზე 650 ახალგაზრდა დაიღუპა და რადგანაც საცხედრეს მაცივრები უკვე გადატვირთული იყო, ამიტომ როკის 650 მსხვერპლი დერეფანში დაასვენეს. შენობაში სიკვდილის საზარელი სუნი დატრიალდა. გვამების ამოცნობა ვერ მოხერხდა — ეს ახალგაზრდები უმეტესად ოჯახიდან გამოქცეულები იყვნენ. ჟურნალისტ ქალს, ჯუდი არგაზონის, რომელსაც შემთხვევის ადგილიდან რეპორტაჟი მიჰყავდა, სატანამ ყურში ჩასჩურჩულა: „კარგად დააკვირდი, ეს ჩემი ნადავლია! ამ დარბაზში ჩემი ნადავლის გამოფენაა!“

**როკ-ენ-როლის ყველა ავტორი სატანური „ეკლესიის“ წევრია, ხოლო როკ-ჯგუფების უმრავლესობა ამა თუ იმ ლუციფერულ რელიგიას აღიარებს. როდესაც ახალი სიმღერის კონცერტზე გატანას აპირებენ, ისინი თავიანთი ტაძრის ქურუმს სთხოვენ მოაჯადოვოს ეს ნაწარმოები, რათა მან წარმატება მოიპოვოს.**

ეს კი „მძიმე როკის“ სტილის ჯგუფის „ა-ეს/დ-ეს“-ის ჯგუფის სიმღერის სიტყვები გახლავთ:

*„მე ვარ მგრგვინავი ჭექა-ქუხილი,*
*წვიმის მშობელი,*
*გრიგალად მოვედი,*
*ჩემი ელვები მთელ ცას სერავენ,*
*ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ,*
*მაგრამ შენ მოკვდები!*
*ტყვეებს არ ვიყვან, არავის დავზოგავ,*
*ვერავინ შეძლებს წინ აღმიდგეს!*
*მე მოვიპოვე ჩემი ზარები*
*და ჩემთან წაგიყვან, იქ,*
*ჯოჯოხეთში!*
*შენ ჩემი იქნები!*
*ჯოჯოხეთის ზარები*
*დიახ, ჯოჯოხეთის ზარები!“*

ნუ იფიქრებთ, რომ ქრისტიანს შეუძლია ხანდახან მაინც მოისმინოს ამგვარი, თითქოს შედარებით „უწყინარი“ სიმღერები. ეკალთაგან ყურძენს ვერავინ მოიწევს და ვერც ხეხეში ხე გამოიღებს კეთილ ნაყოფს და შეუძლებელია, ჯოჯოხეთის ქვესკნელში ფესვგადგმული ხე უვნებელ ნაყოფს ისხამდეს. განა შეიძლება, ქრისტიანი ისე, გასართობად გაესაუბროს ეშმაკს, ანდა მასთან ერთად დაუაროს დავლური?

ასე რომ, მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ყველაზე „მსუბუქი“ გატაცებაც კი როკ-მუსიკით არის საკუთარი სარწმუნოების ღალატი, უფლის შეურაცხყოფა, მისგან დაშორება, დამღუპველი ხიბლი, ბნელეთის სულებთან ერთობა და სატანასთან გათამაშება!

მაშ შეინანე, თუ ოდესმე გქონია ეს გატაცება და ნურასოდეს დაუბრუნდები მას!

წიგნიდან „ალსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის“
მასალა მოამზადეს
თეა ცირეკიძემ და
ლუიზა ხაჭაპურიძემ.

ჩვენი ბედოვლათობა

# „ვარსკვლავთცვენა“

## გელა ჯიღაური

(დასაწყისი წინა ნომერში)

შევარდნაძის ვარსკვლავთან ახლოს დაიმკვიდრებს ადგილს კახეთის ყოფილი „მმართველის“, ყოფილი „სწავლულის“, ამჟამად ქართველ „მინისტრთა თავკაცის“, სიტყვატკეპნია გ. არსენიშვილის ვარსკვლავი. მართალია მ. მეზვრიშვილის კალთას ამოფარებულმა ამ უხერხემლო, უსუსურუძალო, უნიათო „მოურავმა“ ერთი თეთრის საღირაალი არაფერი გაუკეთა კახელებს, მაგრამ სწორედ ამგვარი მშიშარა, უტყვად მორჩილი დასჭირდა „პრეზიდენტს“.

გრანიტ-მარმარილოს ვარსკვლავის დაგების ღირსია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების პერიოდის „მონაწილე“, მრავალრიცხოვან მიტინგებზე „მგზნებარე, პატრიოტული შემართებით“ გამოსული, კომუნისტების „განდევნის მოსურვილე“, ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტი რ. გოცირიძე, კანონიერი ხელისუფლების დამხობის მერე სახელ და სახენაცვალ კომუნისტებს რომ ამოუდგა მხარში და „გავიცეპრემიერებულმა“ დაუფარავად დაიწყო ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების „ურიცხვ შეცდომათა მხილება“. ადრე მომჭირნედ მცხოვრები, დღეს ეკონომიურად წელმოდგმული „სახელმწიფო მოხელე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს უძღვება და ძალ-ღონეს არ იშურებს სამშობლოს უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობიდან დასახსნელად“. აკი ამიტომაც არის, რომ „გონსმოსულ-გამოფხიზლებული“ ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი დამანგრეველი აღარავის „ინდობს“ და ნულოვანი ვარიანტის მიღების „უპირველესი მოწინააღმდეგე ქვას ქვაზე აღარა სტოვებს“.

მოგეხსენებათ, მოქალაქეთა კავშირი, მისი ახალგაზრდული ფრთა სხვა არაფერია, თუ არა კომკავშირი და კომპარტია და თავისთავად, იქ მყოფნი სულით ხორცამდე კომკავშირელ-კომუნისტები გახლავან, ერთი სულისანი არიან, პარტიულ ბოსთან ერთად ანგრევენ და ყიდიან საქართველოს, ებრძვიან ჭეშმარიტ მამულიშვილებს. დღეს, რღვევადაწყებულ ამქარს ლაჟვარდოვანი აჭარის „მკვიდრი, ნავიცესპიკერალი“ ე. სურმანიძე გენმდივნობს და პატრონის დარად, თავგადაკლული ესწრაფვის განწირულთა შეკავშირებას. ამ და უწინდელი სამსახურისათვის თავდადებულის ვარსკვლავს „გერმანიის გამაერთიანებელი“ ლამის სეხნიის ვარსკვლავის მახლობლად მიუჩენ ადგილსამყოფელს.

ნათქვამია, „თოფი მეთოფესაო და მეთოფე სოფელსაო“. ამ ბრძნული ჩაგონების ზედმიწევნითი გაცხადება იქნება ცეკას წინამოედანზე დაგებული ის ვარსკვლავი, რომელიც ქართველი ასტროლოგების ამჟამინდელი „წინამძღოლის, უპირველესი ვარსკვლავთმისნის“ ჯ. ლომინაძის სახელდებული იქნება. აღმოჩნდა, რომ ციურ მნათობთა ჭვრეტასთან ერთად, „ერუდიტი მეცნიერი“ უზადო ფოტოხელოვანი, ილუზიონისტი და „ანგარიშგასაწევი, პრინციპული პოლიტიკოსიც“ ყოფილა. ამიტომაც ნუ გაგვიკვირდება, ნუ „დავიბოლმებით მეცნიერ-აკადემიკოსის“ ბოლოდროინდელი აღზევება-წამოტივტივებით. „არასდროს და არაფერში შეუმცდარი შეფის“ არჩევანი ამჯერადაც „უტყუარი“ გამოდგა — „ცენტრალური საარჩევნო კომისიის“ აკადემიკოს-თავმჯდომარემ მის ხელში გავლილ-დანიშნული „არჩევნები ისე ჩაატარა“, როგორც მბრძანებელს სურდა: „ას ხუთი პროცენტით ხმამიცემული პრეზიდენტი, პარლმენტის სპიკერი, ვიცე-სპიკერები და პარლამენტარები“ შეუცდომლად დაინიშნენ წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით. ასე, რომ ვარსკვლავთმრიცხველისათვის ქვაში გაცხადებული ვარსკვლავით პატივგება სავსებით დამსახურებულია და „კანონიერი“.

„პრეზიდენტის“ გრანდიოზულ ვარსკვლავთან ახლოს მიუჩენენ ადგილსამყოფელს მისი ერთ-ერთი საყვარელი და საიმედო შეგირდის, „ციხენახეხის, რვაწლიან დევნა-შევიწროებას თავდაღწეულის, მრავალტანჯულ ნაგვემ-ნაწამების, დისიდენტყოფილის“ უსაშინლესი თავდასხმის დროს მეუღლისა და მძღოლის შემაძრწუნებელი სიკვდილის მხილველისა და ტყვიის წვიმისგან „სასწაულად გადარჩენილის“, „საერთოსახალხო სოციოლოგიური გამოკითხვით“ დიდი, მზისდარი თამარის „მჯობნი მოვლენა-პოლიტიკოსის“, „ყველაფრის მთქმელის“, მაგრამ მსმენელისგან სიტყვათა ამ აბდაუბდისა და დემაგოგიის ვერაფრის აღმქმელის მომწოდებლის, „პრეზიდენტის კამანდის უღირს წევრთა საიდუმლოთა ამომხსნელისა და მამხილებლის“, მამაღმერთად დაგულებული შეფისაგან ბოლო „საპარლამენტო არჩევნებიდან“ ჩამოცილებულის და სხვა ახალ დავალებათა მიცემულის, ედპ-ს წინამძღოლ ი. სარიშვილის ვარსკვლავს.

შემდეგ ვარსკვლავს საიდუმლო სამსახურების უხსოვარდროინდელ საიმედო თანამშრომელს, ციხე-საპატიმროების მკვიდრთა ბედ-იღბლის „განმგებელ-გადამწყვეტის“, საქართველოდან გაეროში გაგზავნილი წერილობითი ანგარიშებით იქ მყოფთა „გამკვირვებელ-აღმაფრთოვანებლის“, მათემატიკოს-„სახელმწიფო მოღვაწის“. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთანავე მზადმყოფის და ცისფერი ეკრანიდან „დიქტატორის“ განდევნით გახარებულის, წლობით დაგროვილი ბოღმა-ბალღამის გადმომნთხევის, ბინძური ცილისწამებებით გულნაჯერების, „პარლამენტის ნავიცესპიკერალ“ რ.

⇨ 8

*გიორგი ყარაულაშვილი*

# ფიქრი დიდგორის

რწმენავ მომავლის, რწმენავ ახალო,
ქართვლის მეობის შუქო ძლიერო,
უფრო დაბრძნილო, უფრო მაღალო,
შენ ჩემო ნატვრის თვალსაწიერო.

თუ არა აზრში აზრის ქუხილი,
მაშ, აბა, სხვა მეტს რას შეგადარო,
მე მინდა ჩემი სულის წუხილი
შენს ცხელ ლადარში გამოვატარო.

სიმხნე და ძალა ყველგან გაწვიო,
„არა კაცთა კვლა", ვიხმარო ფარად.
ეს უსახელო მთები ავწიო
და ჩამოვკიდო დარიალს კარად.

რომ საქართველოს ზეცის კაბადონს
მზე და ვარსკვლავნი .ესხდნენ იებად,
რომ სხვა რუსთველი კიდევ დაბადოს
სპარსთა, მონღოლთა შურისძიებად.

ნათელ მომავლის არ არის იჭვი,
წინ კი გზა გვიდევს მრუდი და სწორი
ჩვენ ახლა გვინდა დავითის ნიჭი
და ახლა გვმართებს ფიქრი დიდგორის.

ყოველ განაზრახს ხამს მკაცრი განსჯა,
რადგან ჩვენში დუღს წინაპრის გენი,
უნდა იცოდეს შავშმაც და კლარჯმაც,
რომ საქართველოს არიან ძენი.

და დღეს ცხოვრების უგზოდ ძრწოლაში
ცოდვაა ბრიყვი ხანჯლით აჩოქო,
საქმე ის არის რომ მტერს ბრძოლაში
თოფით კი არა, ჭკუით აჯობო.

1990 წლის 19 აპრილი,
ქ. თელავი

**პოეზია**

*ცეზარ ტაბატაძე*

# მხოლოდ შენ გიმზერს

მხრებზე მეხება ცის ლურჯი ჭერი,
მკერდში ხმაურობს სისხლი რარიგად.
რიონის პირზე ფერია ჭრელი,
რომელიც ალბათ მზემ დაარიგა.

გასკდება კვირტი, ვითარცა კვერცხი,
ფოთოლი თავს ჰყოფს, როგორც წიწილი.
მომენატრება სრიალი მერცხლის,
წყალწითელაზე შენი სიცილი.

ნაზად შეირხა ჩონგურის სიმი,
დაიძრა ხმები, როგორც ტალღები.
მერე მოვიდა ლამაზი წვიმა
და შეიყუჟნენ სადღაც ბალღები.

მე არ გავხდები არასდროს შორი,
ისევ შენა ხარ ჩემი ედემი
და ჩიტუნების ერთობლივ ქოროს
მზე და აპრილი ეიმედება.

ფერდობებზე ძოვს ნისლების ხარი
და ცეკვავს წვიმა რიონის პირზე.
გზააბნეული ივერთა მხარე
„ჰე, ღმერთო ერთო", მხოლოდ შენ გიმზერს.

**მეცნიერება**

## გრიგოლ რობაქიძე: გურია და სოციალიზმი

ლამაზი კუთხეა გურია საქართველოსი. მისი ლანდშაფტი სამმუხოვანი სივრცე—გაშლილი სინთეზია: მოქნილი მთები, ბახმაროსაკენ თანდათან ზვიადობით ამართული; თვალუწვდენი ჭალადი, სამეგრელოსაკენ ძლევამოსილებით გაფენილი. მოშორებით შავი ზღვა, ეს უხვად გამდნარი მუქი ზურმუხტი. გურიაში მოიძებნება ისეთი პუნქტი, საიდანაც ადამიანის მჭვრეტი თვალი სამმუხოვან ლანდშაფტს ერთს ესტეტიურ სარკმელში გაატარებს მძაფრი სიტკბოებით. განსაცვიფრებელია გურიის ნელი სირბილე: იქ ვერ მონახავთ ვერცერთს „მყვირალა" ფერს, იქ ვერ იხილავთ ვერც ერთ უხეშ ხაზს: იქ ყოველი ნაკვთი რბილია, ნაზი, მჩატე, ნარნარი: თვითონ მთებიც კი გურიაში მკაცრი ნატეხობით კი არ არის ამართული, არამედ ხავერდოვანი სირბილით. განსაკუთრებით კეკლუცია ჩაქვისაკენ მახლობელი მიდამო, ხოლო ეს სიკეკლუცე უფრო რბილად მოდუნებულია, ვიდრე იმერული ხტომით ნაყარი.

ძველი მესხეთის ნატეხია გურია. ამის ნიშანი ბევრი არის. თავდაპირველად „ქართული". გურული ქართული ლაკონიურია რუსთაველის სამშობლოს სიტყვასავით. საქართველოს არცერთ კუთხეში ისე სხარტულად არ ლაპარაკობენ, როგორც გურიაში. გურული სინტაქსი უაღრესად ეპიგრამმატულია: მოკლე, მკაფიო, კეთილი, ჭდეული. თვითონ

**სოციალ-დემოკრატია საქართველოში გურულებმა შეჰქმნეს. ჯერ მარტო თაოსანთა გვარები: ინგოროყვა-ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, მახარაძეები, ოთხი რამიშვილი, ცინცაძეები, სილიბისტრო ჯიბლაძე, ბენია ჩხიკვიშვილი, შარაშიძეები, ხომერიკი, ნინიძე, ჟორჟოლიანები, დოლიძეები, კილაძეები, ლალიონი-მამულაშვილი...**

რუსთაველიც გურულებმა სხვადასხვა ქართველებზე უფრო იციან: გურიაში არის ოჯახები, სადაც „ვეფხვის ტყაოსნის" ზეპირი ცოდნა უბრალო ჩვეულებაა. გარდა ამისა „ვეფხვის ტყაოსნის" ზოგიერთი სიტყვები, რაიც საქართველოს სხვა კუთხეებისათვის გაუგებარია, გურიაში უბრალოდ მუსაიფის ჟამს გვხვდებოდა კიდევ: ძველ მესხთა შაირობა ცნობილია,—გურიაში შაირობა თაობიდან თაობაზე გადადის: შაირობა გურულებისათვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც საამო გასეირნება.

ამაყია გურული: გურიაში ძალზე არის განვითარებული გრძნობა თავის თავის ღირსების. არისტოკრატობა—„რჩეულობა"—გურულთა „რასის" მთავარი ნაკადია. ამ მხრივ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს: „ყოველს გურულს უყვარს თავის გამოჩენა". გურულებში ძალზე არის ნაგრძნობი „მანძილის პათოსი" (ნიცშესი). ამაყობა და გამორჩეულობა „რბილ" გურულს სასტიკად ხდის: ფირალად გავარდნა გურიაში ჩვეულებრივი მოვლენაა,—ფირალობას კი უმთავრესად ხასიათი უძევს საფუძვლად. გურულს გარეგნობაც რჩეული უყვარს: ძვირად თუ ვინმე სხვა ქართველი ისე ლამაზად ჩაცმული გამოვა, როგორც გურული. ცნობილია გურიის სიღარიბე,—მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს ვერცერთ სხვა კუთხეში ვერ მონახავთ გურული „ოდის"-თანა კოხტაობას კეკლუცად მორთული ეზოთი.

მჩატე და ფიცხია გურული. ბევრს ეს თვისება სიღრმის უქონლობად მიაჩნია. არ არის მართალი. გურულის სიმჩატე და სიფიცხე სხვაგვარია, ვიდრე სიმჩატე და სიფიცხე „პირვანდელი" (კულტურა გაუვლელი) სამხრეთელისა. პირიქით: გურია მემკვიდრეა ნელი და მაგარი წინაპრის: მას მხოლოდ „ემჩატება" კულტურული სვლა, მისი სიფიცხე მხოლოდ ჟესტია არისტოკრატული ზვიადობის. მართალია გურული ვერ შეჰქმნის გერმანელის სილრმეს, რომლის სიძლიერე შეიძლება მხოლოდ უზარმაზარმა, დაკორძილმა და დაგრაგნილმა ხემ გადმოგვცეს, მაგრამ გურულს არც უყვარს „გრაგნილი საკორძე"... მისი გენია უფრო პლასტიური ზოლებით იკვეთება,—და ხალხთა შორის გურული უფრო რომანულ რასას ენათესავება, კერძოდ—ესპანელებს თავის ქედმაღალი ტემპერამენტით. ერთადერთი დამაფიქრებელი გურულის ნიჭში შემდეგია: გურიაში თითქმის ყველა ნიჭიერია—აქ არ არის უფსკრული გათხრილი „პიროვნებასა" და „მასსას" შორის. თუ მივიღებთ, როგორც ბევრს ჰგონია, ვითომ კულტურის ზრდაში არის საჭირო ერთგვარი მანძილი „პიროვნებასა" და „მასსას" შორის,—მაშინ გურულის შემოქმედება, რასაკვირველია, საეჭვო გახდება სიძლიერეში. ყოველ შემთხვევაში, ეს პრობლემაა და არა დადგენილი ფაქტი. ჩემი პირადი მოსაზრება ამგვარია: გურულის ნიჭი ჯერ კიდევ მემკვიდრეობის პოტენციით იშლება,—და მისთვის გურიაში თითქმის ერთნაირად ნიჭიერნი არიან ყველანი; მაგრამ როცა გურული მემკვიდრეობას მხოლოდ „გამოიყენებს" ახალი ძალების ამოძრავებით, მაშინ გურულთა შორის აუცილებლად აისახება ის მანძილი, რომელიც კულტურის ვითარებით თავსა ჰყოფს „შემოქმედ პიროვნებასა" და „ფართო მასას" შორის. აღნიშნულ



დახასიათებას თითქოს ერთი ფაქტი ეწინააღმდეგება: როგორ? გურია და არისტოკრატია?! განა გურიამ არ განამტკიცა საქართველოში სოციალისტური სწავლა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა არისტოკრატული წარჩინების მიდრეკილებას?! და მართლაც: სოციალ-დემოკრატია საქართველოში გურულებმა შეჰქმნეს. ჯერ მარტო თაოსანთა გვარები: ინგოროყვა-ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, მახარაძეები, ოთხი რამიშვილი, ცინცაძეები, სილიბისტრო ჯიბლაძე, ბენია ჩხიკვიშვილი, შარაშიძეები, ხომერიკი, ნინიძე, ჟორჟოლიანები, დოლიძეები, კილაძეები, ლალიონი-მამულაშვილი...

ასეთია ფაქტი, მაგრამ მე მგონია, ეს ფაქტი ოდნავაც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ დახასიათებას: პირიქით, იგი სავსებით გამოდის უკანასკნელისაგან. წარმოიდგინეთ მემკვიდრენი ძლევამოსილი წინაპრის, რომელსაც ნივთიერი ყოფის უმწეობას განიცდიან. სწორედ ასეთი მემკვიდრეებია განმზადილნი სოციალიზმის მისაღებად: მათ სხვაზე უფრო ესაჭიროებათ მდიდარი მატერიალური ყოფა,—ისტორიულ თანდათანობას ისინი ვერ შეურიგდებიან. ამისათვის მათ აკლიათ უკულტუროს თმენა და გემოს არ ცოდნა,—„როდემდის ვიცადოთ?" აი, მათი დამახასიათებელი საკითხი. სწორედ ასეთს მემკვიდრეებს წარმოადგენენ გურულები: ისინი გამოვიდნენ სოციალისტებად, რადგან სულით უაღრესად აზნაურნი არიან და ყოფით ღარიბნი. თანვე ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მათ მიერ სოციალიზმის მიღებას ხელს უწყობდა უთუოდ ზემოაღნიშნული თვისება: ერთნაირად დაჯილდოება ნიჭით. ეს „ერთნაირობა" ფსიქოლოგიური პირობაა სოციალიზმის მიღებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ გურულები სოციალისტური სამოსელით გვეჩვენებიან, მათი ფსიქიკა მაინც აზნაურულია: ყველაფერი შეიძლება ამოშალოთ გურულში, მაგრამ „წარჩინებულობის", „რჩეულობის" გრძნობას მათში ვერავინ ამოშლის: გურულის სიამაყე—„პათოსია მანძილის" (იგულისხმება „ჩემსა" და „სხვებს" შორის).

„საქართველო",
1917 წელი, №269

„აპრილსა და მაისში აღინიშნა მრეწველობის ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპი 10%-ის ფარგლებში... გაჩნდა აღმავლობის პირველი ნიშნები“
ე. შევარდნაძე
„საქინფორმი“ ასავალ-დასავალი №24



სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი „ინტერ-პრესი“
„წელს მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა შარშანდელთან შედარებით 6,2%-ით შემცირდა“
ახალი თაობა №163



ე. შევარდნაძე:
რამ დაგაბრმავათ ხალხო, ნუთუ ვერ ხედავთ, როგორ აღმავლობას განვიცდით?

ჩვენი ბედოვლათობა

# „ვარსკვლავთცვენა“

გელა ჯილაური

ბერიძის სახელობისას დააგებენ.

მომდევნო ვარსკვლავს ისევ ადამიანის უფლებების „დამცველი“ დიაცის სახელობისას დააგებენ. ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს კათოლიკოსყოფილ დავით დევდარიანის „მოღვაწეობის“ მხილებამ, არნახულად გააცოფა „დეპუტატყოფილი“, თბილისის „საკრებულოს ყოფილი მდივანი“, „სოციალისტი“ მილიონერის ხელშეწყობით ისევ „გადეპუტატებული“ ეკლესიის ყოფილი „მწყემსმთავარის“ შვილიშვილი ნ. დევდარიანი. ამჟამად ბერიას რეზიდენციაში დამკვიდრებული „ძალღონეს რომ არ იშურებს“, გაუბედურებული, დამცირებულ-დაჩაგრული ადამიანების უფლებების „დასაცავად და მათი შველით, მოვლა-პატრონობით დაღლილი, სანთელივით ილევა“.

ბოლო „საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის“ დროს შევარდნაძის მხარდამჭერ მლიქვნელ-ლაქიათა სამარცხვინო სატელევიზიო მეხოტბეთაგან გამორჩეულად დასამახსოვრებელი გამოდგა კომკავშირელ-კომუნისტად დაბადებულ-ჩამოყალიბებულის, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანყოფილის, ამერიკაში „გაბიზნესმენებულის“, ფოთის მერყოფილისა და თბილისის მერის სავარძელბომებულ ვ. ზოდელავას ტელერეკლამა, დიდი ხნის ნაოცნებარ სურვილზე—მამად დაგულებულის განუსაზღვრელი ვადით ყოფნაზე რომ განაცხადა. მართალია, თბილისელებისა და დედაქალაქის „აღმშენებელ-მოამაგემ“ სისხლისღვრით „გაპრეზიდენტებულის“ ფრთებქვეშ შეყუჟულმა, თავზე ხელგადასმულმა და უზომოდ გათამამებულ-გადიდგულებულმა „მერმა“ დაუფიქრებლად გახსნა პატრონის კარტები და წინასწარ დაგეგმილ-დაკანონებული გამოაშკარავა, მაგრამ შეცდომა იგი „ახალგაზრდული“, დიდსულოვნად მიეტევა, რადგან საუკუნოვანი „პრეზიდენტობა“ ისედაც განაღდებული იყო. ასე, რომ რადიოთი უპოვართა და მიუსაფართა, სნეულთა შემცოდებელ-დამპურებელ ქალაქის „თავს“ უცილებლად განაღდებული აქვს საკუთარსახელდებული ვარსკლავის ჩაგება „პრეზიდენტის“ ვარსკლავთგარემოცვაში.

დასახელებულ ადგილზე ვარსკლავს დაუგებენ ორგზის ექს-იუსტიციის მინისტრს, აწ უკვე „პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს“, ეროვნულ ხელისუფლებას განდგომილსა და უკანონოთა მთავრობაში დამკვიდრებულ ჯ. ხეცურიანს.

ვარსკლავი ერგება იარაღით მოსული „ხელისუფლების“ ვიცე-პრემიერყოფილს, მარად გაფუყულ-გაბუტულ, ცივსისხლიან „ექსტრა-ფინანსისტს“. შოკური თერაპიის მამის—ბალცეროვიჩის, ეკონომიკურად გაკოტრებული საქართველოს „მხსნელად“ დამგულებელს, შევარდნაძის ურიცხვ მრჩეველთაგან ერთ უპირველეს თ. ბასილიასაც.

რაკი ჯერი თანაშემწეებზე დადგა, ცხადია, ვერაფრით გაანაწყენებენ „საბჭოეთის დამანგრევლის“ კიდევ ერთ მრჩეველ-თანაშემწეს. ცეკას ყოფილი მდივნის ძეს, ინგლისური ენის „უბადლოდ მცოდნეს“, ამერიკული სლენგის უნაკლოდ „შემთვისებელ-შემსისხლხორცებელს“. სამყაროშემოვლილსა და იქაური საარაკო ამბების „საინტერესოდ მთხრობელს, შეუდარებელ“ თარჯიმანს, დღეს უკვე გადიდხაზეინებულ გ. ჩარკვიანს.

ცეკას წინამდებარე მოედანზე სუსტი სქესის წარმომადგენელთა ვარსკლავთსაკრებულოში დააგებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „ამაგდარის, დისიდენტისა და პოლიტპატიმრის“, კანონიერი ხელისუფლებისა და ქართველთა უდიდესი ნაწილის ნება-სურვილით არჩეული პრეზიდენტისაგან განდგომილისა და შეურიგებელი მოწინააღმდეგის, ერთ დროს „დაუძინებელი მტრისა და ცეკას საძულველი მდივნის“, საქართველოს დამაქცევარ-დამღუპველის მომტევებელ ლ. შაკიაშვილის ვარსკლავს. გულით რომ „დაიჯერა, სასწაულებრივად იწამა“ ბიბლიაში თქმულის:სავლეს პავლედ გადაქცევის მიწიერი გაცხადება—ედუარდის გიორგად წარმოჩენა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სხვადასხვა სხვადასხვა სხვადასხვა

## დიეტოლოგისი

### მწვანე ლობიო ნიგვზით და ბროწეულით

მასალა:

მწვანე ლობიო—1 კგ, ნიგოზი—1,5 ჩ/ჭ, მწვანილი, ხახვი—2 თავი, ბროწეულის წვენი—0,5 ჩ/ჭ, ბროწეული 1 ცალი, ნიორი, წიწაკა, მარილი—გემოვნებით.

კარგად მომწიფებული მწვანე ლობიო, რომელსაც შიგნით მარცვლები აქვს, ჩვეულებრივი წესით მოვხარშოთ და მერე ხელით გავწუროთ.

დავნაყოთ ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, ქინძი, მარილი, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ოხრახუში, რეჰანი, ქონდარი, ომბალო (თუ ძალიან მშრალია, დავასხათ ცოტაოდენი ლობიოს წვენი), ბროწეულის წვენი, მისივე მარცვლები და ყველაფერი ეს კარგად ავურიოთ გაწურულ მწვანე ლობიოში. შემდეგ გადმოვიტანოთ ლანგარზე და ზევიდან მოვაყაროთ ბროწეულის მარცვლები.

### წითელი პამიდორი ნიგვზით იმერულად

მასალა:

პამიდორი—500 გრამი, ნიგოზი—3/4 ჩაის ჭიქა, ძმარი—1/2 ს. კ, ნიორი—1-2 კბილი, წიწაკა, მარილი—გემოვნებით.

ახალი, სალი პამიდორები გავრეცხოთ ცივ წყალში. დავჭრათ თითოეული ექვს ან რვა ნაწილად და მოვათავსოთ შესაფერის ღრმა ჭურჭელში, ჩავამატოთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი, ნიორი, მწვანე წიწაკა, ქინძი, კამა, ოხრახუში და წმინდად დანაყილი ნიგოზი. ყველაფერი ეს შევაზავოთ მარილით და კარგად ავურიოთ ერთმანეთში. შეიძლება დავამატოთ ცოტა ძმარი. სუფრაზე მიტანის წინ მოვაყაროთ წვრილად დაკეპილი ახალი კამა.

### კარტოფილი ნიგვზით

მასალა:

კარტოფილი—1კგ, ხახვი—2 თავი, ნიგოზი—2 ჩ/ჭ, ნიორი—2 კბილი, ოხრახუში, კამა—3-3 ძირი, ძმარი, წიწაკა, მარილი—გემოვნებით.

კარტოფილი კანიანად მოვხარშოთ, მერე გავფცქვნათ და ოთხკუთხედად დავჭრათ. დავნაყოთ ერთად ნიგოზი, ნიორი, მარილი, წიწაკა, ქინძი, გავხსნათ ძმარში, ავურიოთ შიგ დაკეპილი ხახვი და მოხარშული, ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი ლამაზად დავდოთ თეფშზე, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

### ბადრიჯნის საცივი

მასალა:

ბადრიჯანი—1 კგ., ზეთი—50 გრამი, ნიგოზი—2 ჩ/ჭ, ხმელი სუნელი—2 ჩ/ჭ, ძმარი—0,5 ჩ/ჭ, ყვითელი ყვავილი—1 ჩ/ჭ, მიხაკ-დარიჩინი—1 ჩ/ჭ, მარილი, წიწაკა—გემოვნებით.

გრძლად დაჭრილი პატარა ზომის ბადრიჯნები მოვხარშოთ და გავწუროთ. წვრილად დავჭრათ ხახვი, მოვხრაკოთ ზეთში. ხახვი რომ შეწითლდება, დავასხათ 2 ჩ/ჭ წყალი და წამოვადუღოთ. ჩავუმატოთ დანაყილი ნიგოზი ხმელ სუნელთან, მარილთან, ნიორთან და წიწაკასთან ერთად; დავამატოთ მიხაკ-დარიჩინი, ღვინის ძმარი და ადუღებული ცოტა წყალი. წვენში ჩავაწყოთ ბადრიჯნები.

ხსოვნა

## მამა ანდრია (ყურაშვილი) —საქართველოსთვის წამებული გმირი

რვა წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთში მთელი სისასტიკით აწამეს და შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმეს მამა ანდრია (ყურაშვილი). მარადიულ სასუფეველში დამკვიდრებული მისი ნათელი სული გვჭერა, ამჟამადაც საქართველოს გაძლიერება-აღზევებისათვის იხარჯება, აღავლენს ლოცვებს სამართლიანობის და სიკეთის დასამკვიდრებლად.

მამა ანდრიას უკვდავსაყოფად ბაღდათის ეკლესიაში ჩატარდა წირვა მისი ღვაწლის მრავალრიცხოვანი დამფასებლის თანდასწრებით.

დაწვრილებით მასალას მამა ანდრიას მოწამებრივი ცხოვრებისა და აღსასრულის შესახებ უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ.

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო: ონისე ბანძელაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება), ეკა დადიანი (მეცნიერება), მანანა ტაბიძე (დისკუსია), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა)

რედაქციის მისამართი: ქუთაისი, ქუთაისი, ჭუჭრაძის 32
☎ (8 231) 2-16-03, (8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელ. ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/kuji

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818